

K 255.551
3

ქართული
გიგანტიკა



მთქცევა ქართლისა

ექვეყნება მცხეთის ჯვრის 1400 წლისთავს



ქართული
საქმიანობა

F 73.522
3

მოქცევა და ქართლისა და

ახლად აღმოჩენილი სინური რედაქციები

დაიბეჭდა
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის
ილია II
ლოცვა-კურთხევით

თბილისი 2007



ეროვნული
ბიბლიოთეკა

„მოქცევა ქართლისაჲ“-ის ახლად აღმოჩენილი
სინური რედაქციები

გამოსცა და წინასიტყვაობა დაურთო
ზაზა ალექსიძემ



საქართველოს საპატრიარქო

საქიპ-2000
შემოწმებულია


K 255. 551

© ზ. ალექსიძე. 2007.

ISBN 978-99940-69-18-7

თბილისი 2007

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა



„მოქცევაჲ ქართლისაჲ“ და მისი სინური რედაქციები

საქართველომ, მსოფლიოს ერთერთმა უძველესმა ქრისტიანულმა ქვეყანამ ისე ჩაამთავრა XVIII საუკუნე, რომ თავისი ეკლესიის ისტორია არ დაუწერია. უფრო მეტიც, მას ასეთი ისტორიის დაწერის ცდაც კი არა ჰქონია. ისეთი უნიკალური საისტორიო კრებულიც კი, როგორც არის „ქართლის ცხოვრება“, რომლის ერთი წამყვანი და პირველი ავტორი საქართველოს ერთერთი რეგიონის (რუისის) ეპისკოპოსია (ლეონტი მროველი), ძალიან მცირეს წერს ეკლესიის ისტორიის შესახებ. ეს გარემოება XVIII საუკუნეში შეამჩნია ვახტანგ VI-ის „სწავლულ კაცთა კომისიამ“: „ქართლის ცხოვრება“ ეკლესიის ისტორიას ამოკლებს და საეროს კი ვრცლად ჰყვებაო. მიუხედავად ამისა, საკუთრივ საქართველოს ეკლესიის ისტორიის დაწერა არც მათ მოსულიათ აზრად და „ქართლის ცხოვრების“ სათანადო ადგილებში დამატებების გაკეთებით დაკმაყოფილდნენ მხოლოდ.

რატომ არ იყო უკმარისობის გრძნობა, რატომ ჩქვენებოდა მაშინ ყველას, რომ იცის საქართველოს ეკლესიის ისტორია? როგორც ჩანს, „ეკლესიის ისტორიის“ უქონლობას ცვლიდა დიდი ისტორიოგრაფიის ტრადიციებზე დაწერილი პავიოგრაფია და პოლემიკური მწერლობა, რომლებიც თავიანთ უმნიშვნელოვანეს თხზულებებს საქართველოს ეკლესიის ისტორიის რომელიმე მოსაბრუნის შესახებ ქმნიდნენ უპირატესად.

თუ ქრონოლოგიურად დავალაგებთ, მაგალითად, „წმიდა ნინოს ცხოვრებას“, „ასურელ მამათა ცხოვრებებს“, „აბოს მარტვილობას“, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას“, „მოაწმიდელთა ცხოვრებებს“, და ა.შ. ერთი უწყვეტი ჯაჭვი გაიბმება ქართული ეკლესიის ჩამოყალიბების პროცესის, ქრისტიანობისათვის მებრძოლი ხალხისა და მისი სამღვდლოების ისტორიისა.

გავიხსენით ახლა ვრცელი პოლემიკური ტრაქტატები: არსენი საფარელის «განყოფისათჳს ქართლისა და სომხითისა» და ფერემ მცირის «უწყებაჲ მიზეზისა ქართველთა მოქცევისას». ორივე მათგანი ერთი მცირე ისტორიული მონაკვეთისათვის არის დაწერილი, მაგრამ როგორი ფართე ისტორიულ-გეოგრაფიული არეალი აქვს ორივეს. განსაკუთრებით ეს ითქმის არსენი საფარელის

თხზულებაზე. არცერთი სხვა პოლემიკური ტრაქტატი ქართველ-სომეხთა საეკლესიო განხეთქილების შესახებ, არსენი საფარჯლის ნაწარმოების გარდა, არ არის დაწერილი ისე როგორც ისტორიული თხზულება. ამავე დროს იგი არ არის მხოლოდ ქრონოლოგიის ამსახველი, შუა საუკუნეებისათვის ტრაფარეტული მატთანე. თვითონ განხეთქილების ფაქტისა და მისი უშუალო საბაბის შესახებ ნაწარმოებში მხოლოდ რამდენიმე წინადადებაა. დანარჩენი, ეს არის გააზრება განხეთქილების წინამძღვარი პროცესისა და მისი შედეგებისა, დასაბუთება ამ განხეთქილების ისტორიული საფუძვლებისა და ობიექტური კანონზომიერებისა, რომელიც განაპირობებს კონფლიქტის სუბიექტურ მხარეს.

სრულიად თავისებური ჟანრის თხზულებაა «მოქცევა ქართლისაჲ». იმ სახით, რომლითაც მან დღემდე მოაღწია, იგი არც სუფთა ისტორიული ნაწარმოებია და არც ჰაგიოგრაფიული, თუმცა იმავე დროს ერთიც არის და მეორეც. ამიტომ არის, რომ ქართველოლოგებს დღემდე კამათი აქვთ, ქართული მწერლობის ძეგლების კლასიფიკაციისას, სად უნდა მიეკუთვნოს მას ადგილი, საისტორიო მწერლობაში თუ ჰაგიოგრაფიაში. «მოქცევა ქართლისაჲმ» თავისი ტრადიციაც კი შექმნა მსგავსი სინთეტური ტიპის ჟანრისა. «წმიდა ნინოს ცხოვრების» შესახებ დაწერილი ყველა მომდევნო ხანის რედაქცია ერთსა და იმავე დროს არის ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებიც და ისტორიული თხზულებაც. თავი რომ დავანებოთ ლეონტი მროველისეულ რედაქციას, რომელიც თავისი მიზანდასახულობით ისედაც ვრცელ ისტორიულ ნაწარმოებში ჩასასმელად არის განზრახული, ამ მხრივ ტიპიურია «წმიდა ნინოს ცხოვრების» მეტაფრასული და პერიფრაზული რედაქციები.

მეტაფრასული რედაქცია იწყება ზოგადად ქრისტიანობის ისტორიით ქრისტეს შობის შემდეგ, მისი ცხოვრებით, მოციქულთა ქადაგებებით, ქართლში ანდრია პირველწოდებულის, სიმონ კანანელისა და მატათას მოსვლით, წმიდა გიორგის მოწამებით, რასაც უშუალოდ მოსდევს წმიდა ნინოს და მის მშობელთა ცხოვრება. ამის შემდეგ უკვე ავტორი საჭიროდ თვლის მკითხველს აუწყოს ქართველთა სამოქალაქო ისტორია მოკიდებული ალექსანდრე მაკედონელიდან აღმოსავლეთში არაბთა გაბატონების ჩათვლით, მაგრამ არც აქ ავიწყლება ავტორს მიუთითოს, თუ რთულ პოლიტიკურ გარემოში როგორ ინარჩუნებს ქართველი ხალხი და ეკლესია მართლმადიდებლურ მრწამსს.

პერიფრაზული „ცხოვრების“ ავტორი უფრო ამარტივებს თხრობას. იგი საჭიროდ აღარ თვლის ნინოს ცხოვრებას წინ წარუმიძღვაროს ზოგადად ან ქართლში ქრისტიანობის ისტორია ნინომდე და ბოლოს ურთავს სამოქალაქო ისტორიას ალექსანდრე მაკედონელიდან არაბობამდე. ორივე ავტორს კარგად აქვს გაცნობიერებული თავისი ამოცანა: არსენი ბერა წერს და პერიფრაზულის ავტორიც შემოკლებით ამასვე იმეორებს: „უწყებაჲ ჯერ არს ამისცა, საყუარენო, ვითარმედ ესე მეფე მირიან, ანუ სხუანი მეფენი ქართველთანი, რომლისა ტომისანი იყვნეს,



ანუ ჩვენ ქართველნი რომელთა ნათესავთა შვილნი ვართ“. ზუსტად ეს არის „მოქცევა ქართლისაჲს“ კრედიტ, თუმცა იგი მასში პირდაპირ არ არის განცხადებული.

დღისათვის უკვე ცნობილია „მოქცევა ქართლისაჲს“ ოთხი რედაქცია: შატბერდული (X ს-ს 70-იანი წ), ჰელიშური (XIV-XV სს) სინური (N/შინ-48 — X ს, N/შინ-50 — Xს-ს I ნახევარი) რედაქციები.

„მოქცევა ქართლისაჲს“ ერთი სათაურის ქვეშ გაერთიანებული 2 თხზულებისაგან შედგება. I ნაწილში, რომელსაც პირობითად „მოქცევა ქართლისაჲს“ „ქრონიკას“ უწოდებენ, მოკლედ არის გადმოცემული ქართლის ისტორია ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობიდან IX საუკუნემდე; II ნაწილი, რომლის სახელია „წმ. ნინოს ცხოვრება“, მხოლოდ ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადების ისტორიას გადმოგვცემს.

სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობა იმის თაობაზე, არის თუ არა „მოქცევა ქართლისაჲს“ ერთი მთლიანი თხზულება, თუ შედგება სხვადასხვა ავტორის მიერ სხვადასხვა დროს დაწერილი ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ნაწარმოებისაგან. უფრო საფუძვლიანი ჩანს ვარაუდი, რომ „ქრონიკა“ და „ნინოს ცხოვრება“ სხვადასხვა ავტორს ეკუთვნის და გვიან არის გაერთიანებული რედაქტორის მიერ. მათი გაერთიანება უფრო ადრე (X ს-დე) უნდა მომხდარიყო, ვიდრე სინური და შატბერდის კრებულები შედგებოდა. ლეონტი მროველი (XI ს) „მოქცევა ქართლისაჲს“ უკვე ერთიანი სახით იცნობს და ამასთანავე იგი სარგებლობს ისეთი პროტორედაქციით, რომლისგანაც უნდა მომდინარეობდეს ყველა დღეისათვის ცნობილი რედაქცია. საესებით შესაძლებელია, რომ თავდაპირველად „მოქცევა ქართლისაჲს“ იყო ზოგადი სახელი ყველა იმ თხზულებისა, რომლებიც ქართლის გაქრისტიანების მთელ პროცესს აღწერდნენ დასაბამიდან VI ს-ის ჩათვლით ამაზე მიუთითებს სინური კრებულისათვის (N/შინ-50) დართულ ანდერძ-მინაწერში მისი შემადგენელი ყველა თხზულების (მოქცევა ქართლისაჲს „ქრონიკა“, „წმ. ნინოს ცხოვრება“, „საქმენი წმიდისა იოანე ზედა ზანდელისანი“ და „აბიბოს ნეკრესელის მარტვილობა“) ქართლის მოქცევის წიგნებად მოხსენიება.

„მოქცევა ქართლისაჲს“ „ქრონიკაში“ შედარებით ვრცლად არის მოთხრობილი ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობა ქართლში და არიან-ქართლის მეფის ძის აზოს გამეფება, შემდეგ მოცემულია ქართლის წარმართ მეფეთა სია და ლაკონიურად არის აღნუსხული მათი საქმიანობის უმთავრესი მომენტები; ეს სია უკანასკნელი წარმართი მეფით — მირიანით მთავრდება. შემდეგ მოთხრობილია პირველი ქრისტიანი მეფის, იმავე მირიანის, შესახებ. ამ ნაწილში „ქრონიკის“ საერთო მასშტაბებთან შედარებით, დიდი ადგილი უკავია ქართლის გაქრისტიანების ისტორიას, რომელიც მთავრდება წმინდა ნინოსა და მირიან მეფის გარდაცვალებით. მას მისდევს კვლავ მეფე-ერისთავთა და კათალიკოს-ეპისკოპოსთა სია ბაკურ მეფის

დროიდან სტეფანოს II ერისმთავრამდე. ¹ზოგჯერ აღნიშნულია მათი საქმიანობის უმთავრესი მომენტები. შედარებით ვრცელი ადგილი უკავია ვახტანგ გორგასლის მეფობას და ჰერაკლე კეისრის ლაშქრობას ქართლში; მოცემულია ქართლის ერისთავთა და კათალიკოსთა სია გუარამ ერისთავამდე.

სავარაუდოა, რომ თავდაპირველად დაიწერა ქართლის ისტორია მირიან მეფის გარდაცვალებამდე და მას ეწოდებოდა „მოქცევა ქართლისაჲ“. მასში შედიოდა ქართლის სამეფოს შექმნის, მცხეთის შენების ქრონიკა, წარმართ მეფეთა სია და ნინოს მიერ ქართლის გაქრისტიანების ვრცელი მოთხრობა. ასეთი სტრუქტურა ზუსტად ასახავს ტრადიციული საეკლესიო ისტორიებისა და ქრონიკების მოდელს. შემდეგში „მოქცევა ქართლისაჲს“, როგორც ჩანს, დაემატა სხვა ნაწილებიც (ქართლში კათალიკოსობის დაწესება, სამონასტრო ცხოვრების შემოღება, მართლმადიდებლობის სრული გამარჯვება), ხოლო სათაური ძველი შერჩა. სულ ბოლოს (IX ს. 30-იანი წწ.) მას უნდა დართულიყო ერისთავებისა და კათალიკოსების სია. ამასთან ერთად უნდა შექმნილიყო ის პროტორუდაქცია, რომლიდანაც უნდა მიმდინარეობდეს დღეისათვის ცნობილი ოთხი რედაქცია, რომელმაც „მოქცევა ქართლისაჲს“ სათაურით გააერთიანა „ქრონიკა“ და „ნინოს ცხოვრება“.

„მოქცევა ქართლისაჲს“ წყაროებს მხოლოდ ჭელიშური და სინური (N/შინ-48) რედაქცია ასახელებენ (მეორე სინურ ხელნაწერში ეს ადგილი დაკარგულია). მაგ., ჯვრის აღმართვის ამბავთან დაკავშირებით მითითებულია გრიგოლ დიაკვნის „მოკლედ აღწერილი ქართლის მოქცევის წიგნი“, კავკასიაში სპარსელ-ხაზართა შეჯახების გამო ნათქვამია „ესე აღწერილი გამოკრებილად არსო“. ამჟამად უცნობია როგორც გრიგოლ დიაკვნის თხზულება, ისე ის ნაწარმოებები, საიდანაც აუტორს უნდა „გამოეკრება“ ცნობები. სპეციალისტები „ქრონიკის“ წყაროებად ასახელებენ აგრეთვე ფსევდოკალისტენეს აპოკრიფულ რომანს ალექსანდრე მაკედონელზე, ალექსანდრე კვიპრელი მონაზვნის „ქრონიკას“ და, შესაძლოა, რაღაც ადგილობრივ „საამშენებლო ქრონიკას“. თავის მხრივ, „მოქცევა ქართლისაჲს“ „ქრონიკა“ უფრო გვიანდელი თხზულების წყაროც გახდა. მართალია, *ლეონტი მროველი* (XI ს.) და არსენი მეტაფრასტი (XII ს.) მას იმოწმებენ მხოლოდ „წმ. ნინოს ცხოვრებასთან“ დაკავშირებით, მაგრამ მათ მხედველობაში აქვთ მთლიანად ძველი („წმ. ნინოს ცხოვრება“ „ქრონიკიანად“), როგორი სახითაც მან მოადწია ჩვენამდე.

„მოქცევა ქართლისაჲს“ აღმოჩენას თავის დროზე დიდი კულტურულ-ეროვნული მნიშვნელობა ჰქონდა. იგი სწორედ მაშინ გამოჩნდა, როდესაც „ქართლის ცხოვრების“ ცნობებს ზოგი კავკასიოლოგი უსაფუძვლოდ XII ს-ში შეითხზულ ლეგენდად მიიჩნევდა.

ქართული ისტორიოგრაფიის დაწინაურებამ და ახალი მასალის გამოვლენამ ცხადი გახადა, რომ „მოქცევა ქართლისაჲს“ სარგებლობს უძველესი ადგი-

ლობრივი წყაროებით, რისი გაკონტროლებაც შესაძლებელია საქართველოში მიმდინარე არქეოლოგიური გათხრებით, აქვე აღმოჩენილი ბერძნულ-არამეული წარწერებით თუ ბერძნულ-რომაული და სომხური წყაროებით.

„წმ. ნინოს ცხოვრება“ ორიგინალური სტრუქტურის თხზულებაა. ცალკეული თავების ავტორებად დასახელებული არიან თვით წმ. ნინო, რომლის ნაამბობი სალომე უქარმელს ჩაუწერია, აბიათარ მღვდლის ასული სიდონია, აბიათარ მღვდელი, იაკობ მღვდელი და მირიან მეფე. შინაარსის მიხედვით თხზულება შექმნილია IV ს. I ნახევარში (ნაწილი წმ. ნინოს სიცოცხლეში, ნაწილიც – მისი გარდაცვალების შემდეგ). სუარაუდოა, რომ IV ს-ში ქართულ ენაზე მართლაც არსებობდა ქართლის გაქრისტიანების ისტორია, რომელშიც აღწერილი იქნებოდა წმ. ნინოს მისიონერული მოღვაწეობა. ამას ადასტურებენ IV-V სს. ბიზანტიელი ისტორიკოსები (გელასი კესარიელი, რუფინუსი, თეოდორიტი კვირელი, სოკრატე სქოლასტიკოსი და ერმია სოზომენე), რომლებიც დაახლოებით ისევე მოგვითხრობენ ქართლში ტყვე ქალის მისიონერულ მოღვაწეობაზე, როგორც ეს არის აღწერილი „მოქცევაჲ ქართლისაჲში“.

„მოქცევაჲ ქართლისაჲს“ „წმ. ნინოს ცხოვრებაჲმ“ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა წმ. ნინოს ცხოვრების გვიანდელი რედაქციების შექმნაზე. ასეთებია ლეონტი მროველის (XI ს.) ისტორიულ ნაშრომში „ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესაეთა“ შეტანილი „წმ. ნინოს ცხოვრება“, XII და XIII სს-ის მეტაფრასული და პერიფრაზული რედაქციები და ნიკოლოზ გულაბერიძის ორიგინალური თხზულება „საკითხავი სუეტიისა-ცხოველისა“.

„მოქცევაჲ ქართლისაჲს“ სინური ხელნაწერები ახალი კოლექციის Sin-48

1990 წელს სინას მთის წმიდა ეკატერინეს მონასტერში ახლად გამოვლენილ ხელნაწერებს შორის აღმოჩნდა ხელნაწერის ნაწილი, რომელიც შეიცავს „მოქცევაჲ ქართლისაჲს მატეიანის“ მნიშვნელოვან ფრაგმენტს. ხელნაწერის ზომებია 135X115 მმ. შემორჩენილია ცამეტი სრული ფურცელი. 1974 წელს აღმოჩნდა კიდევ ორი ფურცლის ფრაგმენტები. ტექსტი ნაწერია ეტრატზე შავი მელნით, ძირითადად ნუსხურით, მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში პირველი და მეორე სტრიქონიც ყოველ გვერდზე შესრულებულია კალიგრაფიული ასომთავრულით. იშვიათ შემთხვევაში ასომთავრულით არის შესრულებული ხუთამდე სტრიქონიც.

პალეოგრაფიის მიხედვით (მხედველობაში მაქვს როგორც ნუსხა—ხუცურის ისე ასომთავრულ გრაფემათა მოხაზულობა) ხელნაწერი ადრეული მეათე საუკუნით უნდა დათარიღდეს.

N/Sin-48-ში ტექსტი თავშიც და ბოლოშიც ნაკლულია. ილ. აბულაძის გამოცემით თუ ვიმსჯელებთ, შემორჩენილია IV-XII პარაგრაფები: მოყოლებული

ეპიზოდებიდან, როდესაც წმ. ნინომ სამ წელს მაცვლოვანში ლოცვის შემდეგ ვაზის
ნასხლევისგან ჯვარი შექმნა, დამთავრებული ქართლში ასურელ მამათა მოსვლით
ტექსტი მცირე გამონაკლისების გარდა კარგად იკითხება.

ახალი კოლექციის Sin-50

1990 წელსვე სინას მთაზე აღმოჩნდა კრებული (№ 50), რომელშიც, მისი
დღევანდელი მდგომარეობის მიხედვით, გაერთიანებულია ძველი ქართული
მწერლობის ისეთი მნიშვნელოვანი ძეგლები, როგორიცაა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“
და „ასურელ მამათა ცხოვრების წიგნები“.

ტექსტი ნაწერია 130X122მმ ფორმატის ეტრატზე შავი მელნით, ნუსხური
ასოებით, რომელშიაც გარეულია ასომთავრული. სათაურები მოცემულია
ასომთავრულითა და სინგურიტ. ტექსტი ძირითადად ნაწერია ერთი ხელით, მაგრამ
ორგან, საერთო რაოდენობით დაახლოებით ორნახევარი ფურცელი სხვა ხელითა
და სხვა ორთოგრაფიით არის ნაწერი. ორივე ტექსტი ერთმანეთის სინქრონულია.
ხელნაწერი თავბოლო ნაკლულია, უყდო. ეტრატი 1994 წელს ფრაგმენტებს შორის
აღმოჩნდა კიდევ 2 ფურცელი. ხელნაწერი თავბოლო ნაკლულია, უყდო. დაკარგულია
„ქრონიკის“ დიდი ნაწილი — დასაწყისიდან ქართლში ფარსმან მეცამეტის მეფობამდე.
„მოქცევაჲს“ დანარჩენი ნაწილი „წმ. ნინოს ცხოვრების“ ჩათვლით სრულად არის
შემონახული.

პალეოგრაფიის მიხედვით ხელნაწერი IX-X საუკუნეებით უნდა
დათარიღდეს. ამ მხრივ განსაკუთრებით დამახასიათებელია სინგური ასომთავრულით
შესრულებული სათაურები. ნაწერის სიძველის მაჩვენებელი უნდა იყოს
განკვეთლობის ნიშნების ხმარება, რომელიც განსაკუთრებით ინტენსიურია მეორე
ხელით ნაწერ გვერდებში და დასმულია ყოველი სიტყვის შემდეგ.

ახალი კოლექციის Sin-50 სინას მთისათვის შეუწირავს ვინმე ბერს არშუშა-
ყოფილს იოვანეს თავისი სულის მოსახსენებლად და მისი შვილებისათვის (დემეტრი,
ადარნერსე და ნერსე) სალოცველად. ანდერძში მოხსენიებული ანთროპონიმები,
აგრეთვე, ხელნაწერის დიდ სიძველეზე ლაპარაკობენ. ხელნაწერი შეწირული უნდა
იყოს იმავე პირის მიერ, ვინც წმ. საბას ლაურას პალესტინაში IX-X საუკუნეების
მიჯნაზე შესწირა სპეციალისტთათვის კარგად ცნობილი ჭილ-ეტრატის იადგარი.
ამას უეჭველად ადასტურებს N/Sin-50-სა და ჭილ-ეტრატის იადგარისათვის
გაკეთებული შინაარსობლივად და პალეოგრაფიულად იდენტური ანდერძი: „ქრისტე,
შეიწყალე იოვანე, ამინ“.

N/Sin-50-ს საკმაო სიზუსტით ათარიღებენ ტექსტში მოცემული შემდეგი
ცნობები:

1. „მოქცევაჲ ქართლისაჲსთვის“ დართული ქართლის კათალიკოსების სია
შედგენილია შატბერდის კრებულის სიასთან (უკანასკნელი კათალიკოსია არსენი

II — დახლოებით 955-985 წწ) შედარებით სამი კათალიკოსით ადრე და მთავრდება არსენი I დიდი კათალიკოსის (860-887 წწ) მომდევნო მეორე კათალიკოსზე (ბასილი), რამაც შეუძლებელია X ს-ის დამდეგზე შორს გადაიწიოს.


2. „იოანე ზედაზნელის ცხოვრებაში“ შეტანილი ზედაზნის მამათა სია, თვითეული მათგანის ზეობის ხანგრძლივობის მითითებით, ასევე X ს-ის დამდეგზე მიუთითებს.

3. მეათე საკუნის დამდეგზე მიუთითებს, აგრეთვე, „იოანე ზედაზნელის ცხოვრებაში“ სივნიეთის დედოფლის ამასპოს (სომხური წყაროების ჰამასპრუპი II ჰამასპუპი) როგორც იმ დროისათვის ცოცხლის მოხსენიება.

გამოცემის შესახებ

ვინაიდან „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ახალი გამოცემა გათვალისწინებულია მკითხველთა ფართო წრისათვის, საჭიროდ ჩაეთვალე იგი სრული სახით გამოსულიყო: დასაწყისი ნაწილი მას დამატებული აქვს შატბერდული ხელნაწერის მიხედვით. სხვა მცირე დანაკლისები შეესებული არ არის. სინური ტექსტები ქვეყნდება ზუსტად ისე, როგორც ეს ხელნაწერებშია მოცემული. ყველა ტექსტოლოგიური ოპერაცია ტექსტშივე არის აღნიშნული სპეციალური ნიშნებით.





მოქცევაჲ ქართლისაჲ

შატბერდულო რედაქცია

[თავი ა]

1. პირველ ოდეს *აღოქსანდრე მეფემან* ნათესავნი იგი *ლოთის* შვილთანი წარქცინა და შეკადნა იგინი კეღარსა მას ქუეყანასა, იხილნა ნათესავნი სასტიკნი *ბუნ-თურქნი*, მსხდომარენი მდინარესა ზედა *მტკუარსა*, მიხუევით, ოთხ ქალაქად, და დაბნები მათი: *სარკინე ქალაქი, კასპი, ურბნისი* და *ოდრაკე*, და ციხენი მათნი: ციხეჲ დიდი *სარკინისაჲ, უფლოსციხეჲ კასპისა, ურბნისისა* და *ოდრაკისაჲ*.

დაუკვრდა *აღოქსანდრეს* და ცნა, რამეთუ *იებოსელთა* ნათესავნი იყვნეს, ყოველსა კორციელსა ჭამდეს და სამარე მათი არა იყო, მკუდარსა შეშჳამდეს. და ვერ ეძლო ბრძოლად მათი მეფესა, და წარვიდა.

მაშინ მოვიდეს ნათესავნი მბრძოლნი, *ქალდეველთაგან* გამოსხმულნი, *პონნი*, და ითხოვეს *ბუნ-თურქთა* უფლოსავან ქუეყანაჲ ხარკითა. და დასხდეს იგინი *ზანავს*. და ეპყრა იგი, რომელ ხარკითა აქუნდა, ჰრქუან მას *ხერკი*.

და შემდგომად რაოდენისამე ყამისა მოვიდა *აღოქსანდრე*, მეფეჲ ყოვლისა ქუეყანისაჲ, და დალეწნა სამნი ესე ქალაქნი და ციხენი, და *პონთა* დასცა მახულო. ხოლო *სარკინესა ქალაქსა* ებრძოლა ათერთმეტ თთუჲ და დადგა *სარკინესა* დასაგლოთ კერძო. და დასცა ვენაკი და რუჲ გამოილო *ქსნით*, და დასხნა კაცნი მერუეენი დასტაგითა რუჲსაჲთა; და ჰრქუან



ადგილსა მას *ნასტავისი*. და მეორე გამოიღო *სარკინე*. თუთ დაყარეს და მეოც იქმნეს.

და თანა-ჰყვანდა *აღუქსანდრეს მეფესა აზოი*, ძჳ არიან *ქართლოსა* მეფესაჲ, და მას მიუბოძა *მცხეთაჲ* საჯღღომად და საზღვარი დაუდგა მას *ჰერეთი* და *ევროს წყალი* და *სომხითი* და მთაჲ *ცროლოსა[ღ]* და *წარვიდსა*.

ხოლო ესე აზოი წარვიდა *არიან ქართლად*, მამისა თუხისა, და წარმოიყვანა რვაჲ სახლი და ათნი სახლნი მამა-მძუძეთანი, და დაჯდა ძუელ *მცხეთას*. და თანა-ჰყვანდეს კერანი ღმრთად-*ვაკი* და *ვაძი*.

II. ა. და ესე იყო პირველი მეფე *მცხეთასა* შინა, აზოი, ძჳ არიან *ქართველთა მეფესა*ჲ, და მოკულა.

ბ. და შემდგომად მისა დადგა *ფარნაგა ზ*. ამან აღმართა კერაი დიდი ცხუ[რ]სა ზედა, და დასდგა სახელი მისი *არმა ზ*. და მოქმნა ზღუდრე წყლით კერძო და ჰრქუან *არმა ზ*.

გ. და შემდგომად მისა დადგა მეფედ *საურმაგ*. ამან აღმართა კერაი *ადინა* გზასა ზედა და იწყო *არმა ზს* შტენებად.

დ. და მისა შემდგომად მეფობდა *მარვან*. და აღმართა *დანინა* გზასა ზედა წინარც, და აღაშენა *არმა ზ*.

ე. და მეფობდა *ფარნაჯობ* და აღმართა კერაი *ზადენ* მთასა ზედა და აღაშენა [ციხც].

ვ. და მეფობდა *არს* (ოკ)*, ქალაქსა ზღუდრენი მოაქმნნა.

ზ. და მეფობდა *არკი*, რომელმან შიდა ციხე აღაშენა *არმა ზსა*.

ი. და მეფობდა *ბრატმან*, რომელსა ზე *მცხეთას* ქალაქი დაეწყო.

თ. და მეფობდა *მარეან* და მან აღაშენა *მცხეთა*ჲ ქალაქი.

ი. და მეფობდა *არსუკი*, რომელმან კასიი შეიპყრა და *უფლისციხე* განაგო.

ია. და მეფობდა *როკი*, რომელმან რაჲთურთით *მცხეთა*ჲ გაიშორა. და მეფობდა *ორად* გაიყო, ორნი მეფენი დასხდეს იმიერ და ამიერ.

იბ. და მეფობდა *ქარძამ არმა ზს* და *მცხეთას* *ბრატმან*. და ამითთა ჟამთა *ჰურჩანი* მოვიდეს *მცხეთას* და დასხდეს.

იგ. და მეფობდა იმიერ *ფარსმან* და ამიერ *კაო ზ*.

იდ. და მეფობდა იმიერ *არსოკი* და ამიერ *ამა ზაურ*.



- იე. და მეფობდა იმიერ *აძა ზასა* და *ამიერ დეროკ*.
- იფ. და მეფობდა იმიერ *ფარსმან ქველი* და *ამიერ ფარსმან ავა ზ*.
- იზ. და მეფობდა იმერ *როკ* და *ამიერ მარდატ*. და ამისა ზე მოაკლდა *არმა ზ* სამეფოთა და *მცხეთას* ოდენ იყო მეფობაჲ.
- იჭ. და მეფობდა *ლადაძი* და *დღე კ*.
- იო. და *ფარსმან*,
- კ. და *აძა ზასა*,
- კა. და *რეე მართალი*.
- კბ. *ვაჩე*,
- კგ. *ბაკურ*.
- კდ. *მარდატ*.
- კე. *ასფაგურ*.
- კვ. *ლეე*, მამაჲ
- კზ. *მარეანისი*.
- ესე ოც და რვათი *ქართლსა* შინა წარმართნი.

III. და იყო დღეთა *კოსტანტინე მეფისათა*, ქრისტეს აღმაღლებითგან *სამას* და *მეათესა წელსა*, იყო ლუაწლო ბრძოლისაჲ მტერთაგან და ფრიად ერეოდეს მეფესა *კოსტანტინეს*, *ძესა კოსტაჲსსა*. და გულგდებულ იყო ურვათაგან *კოსტანტი* კეისარნი.

იყო ვინმე *კაცი ეფესელი* და წარმოთქუა წინაშე მეფესა, ვითარმედ: „ქრისტეანენი იგი *აზომნი* და *ყოველნი პინდონი* და ვისცა ვის აქუს შჯულო იგი ახალო ქრისტეს წმიდისაჲ ძელით ჯუარისაჲთა და მისითა სასოვებითა სძლევენ მტერთა ძლიერად“.

მას ჟამსა აღიძრა მეფე გუნდებითა, და წარავლინა მოყვანებად ებისკოპოსთა *იერუსალმით*, *ანტიოქიაჲთ*, *აზომით* და *ალექსანდრიაჲთ*. და ნათელ-ილო მან თავადმან და დედამან მისმან ბანაკითურთ.

მით ჟამითგან მეათესა წელსა წარვიდა *პელონე იერუსალმად* ძიებად *პატოსნისა* ჯუარისა. და მეათოთხმეტესა წელსა ივლტოდა დედაკაცი ვინმე მეფეთა ევადაგი, სახელით *რიფსიმე*, რომლისამე მიზეზისათჳს დედა-ძმუძითურთ.

და იყო მის თანა ტყუე ერთი დედაკაცი შუენიერი, სახელით *ნინო*,



რომლისა საქმც მისი გამოიძია ჰელენე დედოფალმან, და იყო იგი პრომი მთავარი, და თვთ მოეგლო გზად თვსი და ექმნეს კურნებანი. და მოწვეულ იყო საბერძნეთა და ჰმოდლორდა მთავარსა მას რეფსიმეს.

და ვითარცა წარმოივლტოდა რეფსიმე ზღუად, გადანე და ნინო და სხუანი ვინმე მათ თანა გამოვიდეს არეთა სომხითისათა, საყოფელსა თრდატ მეფისასა, და ივინი იმარტვლნეს მუნ.

IV. ხოლო ნინო და მთა და წარმოემართა მთათა კერძო ჩრდილოდასათა და მოვიდა მდინარესა მტკუარსა, მოჰყვა და მოვიდა მცხეთად, ქალაქსა დიდსა მეფეთა

ახალი კოლექციის Sin-48

IV. [1რ]საჯდომელსა. და იყო მწირობით სამ წელ, ილოცვიდა ფარულად ადგილსა ერთსა მრწამლითა მაცულისადათა შებურვილსა.

და შექმნა ნასხლევისა სახედ ჯუარი და აღიდგა იგი მუნ და ილოცვიდა იგი მის წინაშე. და მათ მაცუალთა ადგილო ზემოდასა ეკლესიისა საკურთხეველ არს.

და მეოთხესა წელსა იწყო ქადაგებად და ხარებად ქრისტეს ღმრთისა შჯულისა და თქუა, რამეთუ: „გზოვე ცთომასა შინა ჩრდილოდასა ესე ქუეყანა“. და მეექვსესა წელსა არწმუნა ნანა დედოფალსა ცოლსა მეფისასა სენსა შინა მისსა. და მეშუდესა წელსა არწმუნა მეფესა სასწაულთა ქრისტესმიერთა. და მსწრატელ აღაშენა ეკლესიაჲ ქუემო სამოთხესა შინა, ძელსაჲ, და სუეტი იგი იყო ძელსაჲ, რომელი თვთ აღეპართა.

და აღაგეს ეკლესიაჲ. და წარავლნნა მეფემან მოციქულნი და წიგნი ნინოდასი მეფისა კოსტანტინესსა საბერძნეთა თხო[ვად] მღდელ[თ]ა. [ხოლო] მოციქულნი იგ[ი] მსწრატელ მი[იწივნეს] წ[ინაშე] მეფისა.

და მოსც[ა] მეფემან ებისკოპოსი დოვანენ და ორნი მღ[დ]დელნი და ერთი დიაკონი და ხატი მაცხოვრისაჲ და მ[ი]ელი ცხოვრებისაჲ და წიგნი ელ[ენ]ე დედო[ფლ]ისაჲ ნინოდას[თ]ს[ი].

V. და ვითარცა მოვიდეს, ნათელი მოიღეს ძირიან მეფემან და ნანა



დედოფალოში ან და ყოველმან სახ[ლმა]ნ მათმან.

ითხოვეს [ხ]ც ებისკოპოსმა[ნ] და ნინო, რადთა შე[ქ]მნა[ნ] [ჯუარო] და ძიება ყვეს [ხ]უროთა და პოვეს ხც ერთი მდგომარე ბორცუსა ზედა კლდისასა, რომელსა ფურცელი მისი არაოდეს დასცუკოდა და სულ-ჰამოდ იყო ხც ესე და შეუენოდა ფრიად, [ვითარცა მად]ლით შემოსილ[ი]. [მრ]და ადგილი იგი ბორცვ შეუვალ იყო კლდისაგან. და ვითარცა შესთნდა ხუროთა სიკვთე ხისად მის, უთხრეს მეფესა და ებისკოპოსსა. და წარვიდეს რვე ძმ მეფისად და მთავარ-ღიაკონი და იხილეს შეუენიერად დგომად ხისად მის. ხოლო ფურცლოოდა ჟამთა არისათა. და იტყოდა მთავარ-ღიაკონი იგი მუკლსა დავითისსა: „ესე ხც არს თანა წარსავალისა კლდისასა ზეგარდამოდთა ცუართა მორწყული და ფურცელნი მისნი არად დასცუკნენ უკუნისამდე“.

და უბრძანა ხუროთა მოკუეთად ხისად მის და შექმნეს სახც პატოსნისა ჯუარისად, ვითარცა ასწავა მთავარ-ღიაკონმან, სამ გუამად შექმნეს ხისა მისე(ა)ნი: ტანისაგან ერთი, მკართაგან <ორნი> და ორნი გუამისაგან. ერთი-იგი აღმართეს მცხეთას, ვითარცა-იგი სწერია მცარესა მას მოკლედ აღწერილსა წიგნსა ქართლოს მოქცევისასა გრიგოლ ღიაკონისა მიერ აღწერილსა, და ერთი ჯუარი აჰმართა მრჩანვე მეფემან მთასა შინა მალხარისასა, რომელსა ჰქვან თხოთისად, და ერთი-იგი მახლობელად პატოსნისა ჯუარისავე.

VI. და წარავლინა მრჩან მეფემან და ითხოვა საბერძნეთით ქვის მთლელნი და კირით ხურონი. და მოსცნა მეფემან და წარმოვიდეს ერუშეთა და დადევს საძირკუველი ეკლესიისად, და დაუტევეს ფერკთა ფიცარნი მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესი. და წარმოვიდეს მანვლის და დადევს საძირკუველი ეკლესიისად, და დაუტევეს სამშკუალი და ესრეთ მოვიდეს მცხეთად.

და დაიწყო მეფემან [შენცხად] ეკლესიასა გარეუბნისასა ქვითა. და ვითარცა ცნა მეფემან, რამეთუ დადევს საძირკუველი პირველ ერუშეთს და მანვლის, და დაუტევეს მუნ სასურველი იგი ფიცარი და სამშკუალი, აღივსო ურფითა და [დააყენა საქმც მო[წრა]ფებისა, ვიდრე ა[რა ისწ]ავა მთხვარებისკოპ[ოსის]ავან] - - - - - რ... [და აღივსო]



სი[ხარულითა] მეფე და მყის ----- ჰური[ა]----- მან -----
 ----- ძმ ----- ის... [ნრ] „...მოწვეულ იყო კუარტილი

ქრისტესი *იერუსალჴმით მცხეთად*“. და ჰმადლობდა ღმერთსა და იტყოდა:
 „კურთხეულ ხარ შენ, უფალო იესუ ქრისტე, ძეო ღმრთისა ცხოველისაო,
 რამეთუ შენ ჰრველვე გინდა ვსნაჲ ჩუენი ეშმაკისაგან და ადგილსა მისგან
 ბნელისა, ოდეს-იგი სამოსელი შენი ებრაელთა ამათ წარმოეც წმიდით
 ქალაქით იერუსალჴმით უცხოთა ამათ ნათესავთა ქალაქად, რამეთუ ჯუარ-
 ცუქმასა შენსა ამას ქალაქსა მეფობდეს მამანი ჩუენნი“.

VII. და ამას ზედა გულის-მოდგინე იქმნა იგი მეფეც და წარემართა
 ქრისტეანობასა მოსწრაფებასა და ყოველი ქალაქი მის თანა. მაშინ
 სანატრელმან დედოფალმან *ნინო* თქუა: „კურთხეულ არს ღმერთი და მამაჲ
 უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი, რომელმან მოაგლინა სიტყუაჲ წმიდაჲ
 მისი ცათა მაღალთაჲთ თუთ ძლიერისაგან საყდარისა ქუეყანად მადლობად,
 შენდობად უეჭუელად ვორცითა თესლისაგან *დავითისა* და დედა კაცისაგან
 მარტოდ შობილისა წმიდისა და უბიწოჲსა, რომელი სათხო ეყო მას...“

... და წარჰმართა მცირედ მახვლი მათ ზედა, და შიშით მისცნეს
 თაენი მათნი ნათლის-ღებასა და დაღეწნეს კერზნი მათნი. და წარვიდეს
 ერწოდ და დადგა ედემს დაბასა, *ქალეთს* და ნათელ-სცა *ერწო-თიანელთა*.
 და ყუარელთა რაჲ ესმა ესე, გარდაჰბეს *თუშეთს*, რომელნი კუალად
თრდატ მეფემან მოიყვანნა და მონათლნა. და ნინო ჩავიდა *კხუეთა* და დადგა
კაწარეთს და მონათლნა *კხუნი* და *სუჯუნი* არითურთ მათით.

და გარდავიდა კახეთა და დადგა იგი ქველ-დაბას. და
 მოიყვანნა კახნი მთავარნი, ამათვე მეფეთა ნათესავნი, და ნათელ-სცა და
 განიშორა ნათლვად მათი.

VIII. და დასწეულდა და წარემართა და მიიწია *კხუეთა*, დაბასა,
 რომელსა ეწოდების *ბოდისი*. ვერღარა უძლო სლვად. და მო-ხოლო-ვიდეს
 უყარმით ქალაქით *რეე*, ძმ მეფისაჲ და *სალოძე*, ცოლი მისი და ასული მათი
 და ზედა დაადგეს მოურნედ. და მოვლინეს მეფემან [და ცოლმან] მისმან
ნანა დედოფალმან *იოვანე მთაგრებისკობოსი* კითხვად და წარყვანებად.
 ხოლო მან არა ინება, არამედ დაჰვედრა *იაკობ მღვდელი* მეფესა და
 ებისკობოსსა, რაჲთა შემდგომად მისსა მან დაიპყრას საყდარი მცხეთისაჲ.



და მის წინაშე მისცა წიგნი *სალომეს ეკლესი* დედოფლისაჲ, რომელი მოეწერა *ნინო* სა მოციქულობით და მახარებლობით შემკობილი, და ძელი ცხორებისაჲ წარსცა *ნანა* დედოფალსა. და შეწირა ჟამი იოვანს და აზიარა *ნინო* განმაცხოველებელსა კორცსა და სისხლსა ქრისტესსა, და წარიღო ესე საგზლად საუკუნოდ. და შეპყდრა სული თვისი კელთა ღმრთისათა *ქართლს* მოსლვითგან მისით *ოცდამეხუთმეტესა* წელსა და ქრისტესს ამაღლებითგან *სამას* *ოცდათურამეტესა* წელსა, დასაბამითგან ხუთ ათას რვაას *ოცდათურამეტესა* წელსა.

მაშინ შეიძინეს ორნი ესე ქალაქნი მცხეთაჲ და უყარმაჲ და ყოველი *ქართლი* სიკუდილსა მისსა. და მოვიდეს და დაპმარხეს ძლევეთ შემოსილი გუამი [მი]სი ადგილსავე ზედა ბოდს, სოფელსა *კახუეთისასა*.

IX. და წარვიდა *მარიან მეფე* და ყოველი ერი, რამეთუ იქმოდეს ეკლესიასა ზემოსა ქვეთა. და გაიმორეს *მეოცესე* წელსა. და *მეოცდაერთესა* წელსა მოკუდა *მარიან მეფე* და დაეფლა საშოვალსა ეკლესიასა სუეტსა სამხრითსა, ჩრდილოჲთ კერძოსა. და მას სუეტსა შინა არს ნაწილი სუეტისა მის ნათლისა მის ცხოველისაჲ. და მეორესა წელსა მოკუდა *ნანა დედოფალი* და დაეფლა დასავალით კერძო, სადა *მარიან მეფე* დაფლულ იყო.

X. და *მეორე* დაჯდა *ბაკურ მეფე*, ძმ *რევისი*. და მოკუდა იოვანე ებისკოპოსი და დაჯდა მღდელი, რომელი ენება *ნინოს*, მთავარებ[10რ]ისკოპოსად.

და *მესამესა* წელსა აღმართებითგან პატროსნისა ჯუარისა შექმნა კუბაჲ *რეგ*. და შეიქმნა საფლავი ქუემოსა ეკლესიასა *რეგ* და მოკუდა და დაემარხა ცოლითურთ. და შემდგომად მისა ამან *ბაკურ მეფე* მან დაიწყო წილკნისა ეკლესიასა და გაიმორა *ოცდამეთერთმეტესა* წელსა. და მოკუდა და დაეფლა ქუემოსავე ეკლესიასა.

XI. და მესამე დაჯდა მეფედ ძმაჲ მისი *თრდატ* და მთავარებისკოპოსი იყო *ნერსეს სომეხთა* კათალიკოზისა მთავარდიაკონი იობ. და მეფემან რუესთავისა რუე გამოიღო და მის ზევე <და> ეკლესიისა საძირკუველი დადვა, *კახეთს* *ნეკრესისა* ეკლესიაჲ აღამშენა გასრულებით.

XII. და *მეოთხე* მისა შემდგომად დაჯდა *ვარას-ბაკურ* მეფედ და



მის ზე სწარსთა მეფისა მარზაპანნი სივნიეთა შემოვიდეს და იგი ვიდრად უკმოჯდა. მთავარების კოპოსი იყო იგივე იობ. მაშინ მოვიდა ქარზამ ხუარ ბარზადურ სწარსთა მეფისა პიტახში ტფილის, კაღა <ა>დ ციხედ და ქართლო მისსა ხარკსა შედგა და სომხითი და სივნიეთი და გუასაურავანი. და მის ზე აღაშცნეს აზნაურთა ეკლესიად იგი წმიდად მცხეთას და დაამოთაულეს დიდსა მას ეკლესიასა სოფლებითა და ქარდაგებითა.

XIII. მეხუთე ამისა შემდგომად მეფო[ბ]და [ბაკური], ძჳ თრდატისი. მთავარების კოპოსი იყო ელო და ამან აღაშცნა ეკლესიად ბოლნისისად და იმიერთ გავიდა და გაახლნა არმაზნი სწარსთა შიშისათჳს.

XIV. მეექვსე ამისა შემდგომად მეფობდა ფარსმან, დისწული თრდატისი, და მთავარების კოპოსი იყო სიმონ.

XV. და მეშვიდე მეფობდა მირდატ. და წარიყვანა პიტახშმან ვარაშ ბაღდადს და მუნ მოკუდა.


XVI. და შემდგომად მისსა მერვე მეფობდა არჩილ და მთავარების კოპოსი იყო იონა. და დაეცა ქუემოდ ეკლესიად, და იონა მიიცვალა გარეუბნისა ეკლესიასა და სუეტი იგი ცხოველი თანა წარმოიღო.

და მის ზე აზნაურთა აღაშცნეს სტეფანე-წმიდად არაგუსა ზედა და მოგუნი მოგუთას. მოგობდეს ცეცხლის მსახურებასა. და მის ზევე, არჩილისსა, ოთხნი მთავარების კოპოსნი გარდაიცვალნეს.

XVII. მეცხრე მეფობდა მირდატ და მთავარების კოპოსი იყო ბოლონქონ. და ესე მთავარების კოპოსი ერისთვადცა [იყო] ბარბ პიტახშისაგან ქართლოს და პერეთს.

XVIII. შემდგომად მისსა მეათე მეფობდა ვახტანგ ვორგასალო და მთავარების კოპოსი იყო იოველო. მაშინ წარიყვანეს ვახტანგ ვორგასალო სწარსთა და შემდგომად რავდნისამე ჟამისა მოიქცა. და მთავარების კოპოსი იყო მიქაელ დით. ამან მიაძინა ფერვი ვახტანგ ვორგასარსა და განადო ეკლესიისაგან. ხოლო მეფემან წარავლინა მოციქულნი საბერძნეთა და ითხოა მეფისაგან და პატრიაქისა კათალიკოზი. და მოსცეს კათალიკოზი პეტრე. და თანა ჰყვანდა სამოელ მონაზონი, კაცი წმიდად და ღირსი. და აღაშცნა ქუემოდ ეკლესიად ვახტანგ მეფემან და დასუა მუნ შიგან პეტრე კათალიკოზი. და ესე იყო ქართლოს მოქცევითგან მესასამეოცდამეათესა

K 255. 551



წელსა. მეფენი გარდაცვალებულ იყვნეს ათნი და მთავარების კობოსნი
ცამეტნი. და აქად თვან იწყეს კათალიკოზთა მამადმთავრობად და მწყემსა
ერისა. პირველი კათალიკოზი იყო პეტრე ვახტანგ მეფისა ზე.

XIX. და მეთერთმეტმე მეთობდა დახი უყარმელო და კათალიკოზი
იყო სამოელ და მისსა ზე ქალაქსა ტფილისს კაცნი დასხდეს და მარიაძ-
წმიდად ეკლესია ალაშქნეს. და კათალიკოზი იყო პეტრე მესამე.

XX. მეთორმეტმე მეთობდა ბაკურ, ძმ დახისი და კათალიკოზი იყო
[სამოელ] მეთხმე.

XXI. და მეცამეტე ფარსმან მეთობდა. და კათალიკოზი იყო
თავფანავ მესუთმე, და მის ზევე ჰემაგი მეექუსე. და მის ზევე [სპარსთა]
მეთობად მცხეთად მოვიდა და შეაშფოთა ქართლი და ქალაქნი და წარვიდა.

XXII. მესუთმეტმე მეთობდა ფარსმანსხუად და კათალიკოზი იყო საბია,
მკვდრი მცხეთელი, მეშოდმე. და აქად თვან ორთა სახლთა აღიეს
კათალიკოზობად მკვდრთა მცხეთელთა. და მის ზევე კათალიკოზი იყო
ევლალო მერვე.

მაშინ მოვიდა იოვანე ზედა ზადნელი შოვა მღინარით, იგი და :იბ:
მოწათენი მისნი მის თანა, ქართლის მოქცევითვან მეორასესა წელსა,
მეთობასა ფარსმანისსა და მეთოთხმეტესა მის მეთობასა მარიახისით...

ახალი კოლექციის სინა-50

XXI ... [ამისა ზ]ევე [სპარსთა] მეფე მცხეთად მოვიდა და შეა[შფოთა
ქართლი და] ქალაქნი [და წარ]ვიდა.

XXII. [და] მ[ისა] შემდგომად მე]თობდა [ფარსმა]ნსხუა[დ და
კათალიკოზი იყო სა]ბია მკვდრი [მცხეთელი, ზ. და აქად] თვან ორთა
სახლ[თა აღი]ეს კათალიკოზობად მკვდრ[თა მცხეთელთა] და მისვე
[მეთესა ზე კათალიკოზი] იყო [ევლ]ალოც.

[მაშინ მოვიდა] იო[ვანე] ზედა ზა[დნელი] შოვა] მღინარით და იბ
მოწ[ათენი მის] თანა ქა[რ]თლის მოქც[ევი]თვან] ს წელსა, მეთობასა
ფარს[მანის]სა მე-იღ-სა მეთობასა მარიახისითვან, და :მ: კა[თალიკოზ]ისა
ევლალოს ზე.



XXIII. და მისა [შე]მდგომად მეფობდა ბაკურ და კათა[ორ]ლოკოზი იყო მაკარი თ. და მისვე ზე - - - - - [პი]ტიახში იყო ვასქენ და მუშანიკი იწამა ცურტავს. [და მისა შემდგომად კათალიკო]სი იყო ს[ამოველი] ი და მერმე სიმონ-პეტრე ია]. და [მის ბაკურის ზე დაესრულა მე]ფობად ქართლ[ოს]სა და ვითარცა მეფობად დაესრულა ქართლს, სპარსნი განძლოერდეს და სომხეთი და შერეთი დაიპყრეს და [უწ]ინარესცა - - - - - ქართლი უმეტესად და[აიპყრეს], და კავკასიათა შევიდეს და კარნი შოვესეთი[სთან] აგნეს სამნი: ერთი დიდი კარი შოვესთა და ორნი დეალოეთს, და ერთი არტყანს დურ[ი]ც[ხუ]კეთისასა - - - - - მთავრად წანარეთისა ჳევსა და მორჩილებად დასდევს [მისი]. და ოდეს ერაკლე მეფე მოვიდა, [მაშინ] დაამყუნა სპარსნი. და სპარსთა [კ]ლესურისაცა იგი ზღუდს შექმნეს და ოდეს შოვესეთის კართა იქმოდეს და უმეტეს ვითარ ხაზრეთისა [კ]არნი შექმნეს, [ხა]ზარნი მეოტ იყუნეს. ესე [აღწერი]ლი გამოკრებულად არს, არათუ [ფრ]ცლად დაწერილი არს.

მაშინ მცხეთად ათხელდებოდა და ტფილისი ეშენებოდა, არმაზნი შემცირდებოდეს [და კალა]დ განდიდებოდა, სპარსნი უფლებდეს ქართლს, და სომხითს, და სივნიეთს, და ვ[უ]ასპურავანს. და კათალიკოზი იყო [ღ]ე[ს] საძოველი ი. და ნელად-რე შეკრბა ქართლი.

XXIV. და განახინეს ერისთავად გუარამ დიდი, და ესე იყო ერისთავი და მერმე კურაპალატადცა იყო. ამან ერისთავმან დადგა საძირკუველი პატროსნისა ჯუარისა და კათალიკოზი იყო საძოველი სხუადვე. და ტფილისს დიდსა ეკლესიასა მკუდრთა დადწყეს და ნახევარსა იქმოდეს ერისთავნი და ნახევარსა ყოველი ერი. და კათალიკოზი იყო ბართლომე ი.

XXV. და შემდგომად სტეფანოზ ერისთავობდა, ძმ მისი, ძ, ძმად დემეტრის, და იქმოდა ეკლესიასა ჯუარისასა.

XXVI. მაშინ ჩამოვლო ერაკლე მეფემან ბერძენთამან. და უკმო ცინისთავმან კალადთ ტფილისით მეფესა ერაკლეს ვაც-ბოტობით. ხოლო მან ფერკი დაიპყრა და დანიელი წიგნი მოდლო და მოდია სიტყუად ესე: „მას შინა მოვიდეს ვაცი იგი მზის დასავალისა და შემუხრნეს რქანი იგი ვერძისა მზისა აღმოსავალისანი“. და თქუა ერაკლე: „უკუეთუ ესე ესრცთ



იყოს სიტყუად წინაწარმეტყუელისაჲ ჩემთჳს, მე მივაგო მრჩობლი მისაგებელი შენ“. და დაუტყვა *ჯობლი* ერისთავი კალას ბრძოლად და იგვიჳა წარვიდა ბაბილონდ *ხუასრო* მეფისა. ხოლო ამან *ჯობლი* მცირეთა დღეთა შემდგომად კალად გამოდლო და იგი ციხისთავი შედჳყრა, და პირი ღრაჳქინთა აუფსო. და მერმე ტყავი გაჳჳადა და მეფესა უკუანა მისწია გარდბანს *ვარა ჳ კრივოლისსა* შინა.

და წარვიდა *ერაკლი ბაბილონდ*, და შედჳყრა *ხუასრო* მეფჳს და შემეუსრა ბაღდადი და ბაბილონი. და მოაღებია ძელი ცხორებისაჲ და იწყო ბრძანებითა ღმრთისაჲთა შჳწნებად *იერუსალჳ მისა*. და *მოღისტოს* დასუჳა პატრიარქად და წარვიდა აქადთვე მეშჳდესა წელსა. ვიდრე მოსლგადმდე მისა ტფილის, სიონი გაეშორა მკჳდრთა, ხოლო ჳჳარისა ეკლესიასა აკლდა და. ამან *ერაკლი* ტფილის და მცხეთას და უჳარმას გააფლინნა ქადაგნი, რაჲთა ყოველნი ქრისტიანენი ეკლესიათა შინა შემოკრბენ და ყოველნი მოგუნი, ანუ ცეცხლის მსახურნი, ანუ მოღნათლენ ანუ მოღსრნენ. ხოლო მათ მონათლგად არა ენებეს, ჳა კუიით თანა აღერვიენეს ქრისტიანეთა, ვიდრემდის ყოველთა ზედა-ცა წარჳმართა მეფემან მანკლი და ეკლესიათა შინა მღნარენი სისხლთანი დოიდეს. და განწმიდნა მეფემან *ერაკლი რჩული* ქრისტჳსი და წარვიდა. და ერისთავობდა იგივე დიდი სტეფანოზ და კათალიკოზი დყო ბართლომე მეორჳს იე.

XXVII. და შემდგომად ერისთავობდა ადარნერსე და მის ზევეე სამნი კათალიკოზნი დცვალნეს: *იოვანე იე, ბაბილი ი ჳ, თაბორ იჳ*

XXVIII. და მისა შემდგომად ერისთავობდა *სტეფანოზ* ძჳ მისი. და მან გადშორა ჳჳარისა ეკლესიაჲ და დადგა კრებაჲ ჳჳარობისაჲ ერთ თთუე. და ტფილის დაჳდა *სტეფანოზ* და <და> კათალიკოზი იყო *სამოელ ით*, და მის ზევეე ეენონ კ.

და ჳამბავი მოჳდა, ვითარმედ ბაღდადი აგარეღანთა დადჳყრესო. ამისთჳს ბერძენთა ქუეყანაჲ ესე ჳორსა აჳკიდეს და წარვიდეს საბერძნეთავე.

XXIX. და მისა შემდგომად ერისთავობდა *გუარამ კურთაპლატი*, და *გუარამ ყრმა*, და მერმე *არშუშა კურთაპლატი*, და მერმე *ვარა ჳ-ბაკურ*, აჳაჲ *პატრიკიო ჳი*, რომელმან გარბანელნი მოაქციენა და ქრისტეანობაჲ ასწავა უნებლიაჲთ. და მერმე ნერსე დიდი და ძენი მისნი: ფილიპე, და



სტეფანოზ, და ადარნერსე; და გუარამ დიდი ბაკურიანი, და ძმ ბადადისი, და ძენი ადარნერსც სნი: სტეფანოზ, და აშოტ, და გუარამ. დიდ-დიდნი ერისთავნი ესთენ იყუნეს იქ.

ხოლო კათა[ნ]კლკოზნი, რომელნი ევნუსითგან მოღმართ იყვნეს: თავთაჲ კა;; ევლათ კბ;; იოველ კგ;; სამოველ კდ;; გიორგი კე;; კპრონი კვ;; იზოდ-ბოზოდ კზ;; თევდორე კც;; პეტრე კთ. ესე :თ-ნი ცოლოსანი იყვნეს. კათალოკოზნი იყვნეს მერმე მამა :ლო; იოვანე :ლა; გრიგოლ :ლბ; კ<ლო>ლეძენტოზ :ლვ;; სარმეან :ლდ;; თალელე :ლე;; სამოველ :ლგ;; კპროლე :ლზ;; გრიგოლ :ლტ;; სამოველ :ლთ;; გიორგი :ძ;; გაბრიელ :ძა; ილარიონ :ძბ;; არსენი დიდი :ძგ;; ევსუქ, რომელმან გაახლა მცხეთა :ძდ;; ბასილი.

ხოლო ამისა შემდგომად ვინცა შეიცვალებოდის, კათალოკოზთაგანი, იწერებოდის.

[თავი :ბ:]

1. და იყო ოდეს იგი აღასრულა სრბად თჳსი სარწმუნოებასა ზედა წმიდისა სამებისასა წმიდამან სანატრელმან დედაკაცმან ნინო, რომელი გუექმნა მახარებელ გულთა ჩუენთა და ემბაზ სულთა და ჳორცთა ჩუენთა, და გუაუწყა ჩუენ მამკაცებრ ერთარსებად წმიდისა სამებისად, რომელი არა დააყენა დედობრივმან ბუნებამან და არცა უძრულოებამან ჳორცთამან დააბრკოლა სლვად გზათა მათ ფიცხელთა, და არცა სიმრავლემან წყალთამან, და არცა უძეცრებამან და უცხოთა მათ ნათესავთა აღრევამან, არამედ ვითარცა ვისმე დედასა შვილთ-მოყუარესა წარჰპარა ვინმე შვილი საყუარელი და მრავალსამცა ჟამისა აუწყა ყოფად მისი შორსა ქუეყანასა, და სიყუარულისა მისგან აღიძრის და განმარტნის ვითარცა ორბმან ფრთენი თჳსნი, და ბრალეობით რბინ და ეძიებნ და ჰკითხავნ ყოველთა მოგზაურთა გზასა მის ქალაქისასა, სადა-იგი უწყებულ არნ ყოფად შვილისა თჳსისად, ეგრცთვე წმიდად ესე და ნეტარი დედაკაცი იკითხვიდა ქალაქსა ამას ჩუენსა და ეძიებდა ვსნასა სულთა ჩუენთასა.

ვითარ-იგი განიშორა ერთი ესე ქუეყანად, სამეუფოდ ჩრდილოდასად, მცხეთისად, მეფეთა საჯდომელი, მოვიდა დედაკაცი ესე და არწმუნა ყოველთა აღსაარებად მამად, ძმ და სული წმიდად ნათლის-ღებად, და

სიკუდილი ქრისტესი და აღდგომა და შემდგომად სიკუდილისა უკუდავება და ცხოვრება და მეორედ მოსლვა და ძისა ღმრთისა მართალთა ცხოვრება და ცოდვილთა შურისგება, რამეთუ მისი არს სუფევად უკუნითი უკუნისამდე და მერმეცა.

და იყო მათვე ჟამთა შინა მძიან მეფისათა, რაჟამს მოინათლა დედოფალი ესე სუჯა და მის თანა მთავარნი მრავალნი ჳელსა შინა ნინოდ სსა ბოდს შინა აღიძრა შურითა საღმრთოთა და სურვილთა წმიდისა სიონისა კათოლიკე ეკლესიასათა, რომელ-იგი წმიდისა ნინოდს მიერ მოენიჭა სოფელსა ცნობად ნათელი ჳეშმარტი, სუჯა იგი დედოფალი წარმოემართა ხილვად და თაყუანის-ცემად წმიდისა სიონისა და მახარებელსა ნინოდსა. და სლვასა მას მისსა შინა იტყოდა მოწოდებელნი: „ვითარ მამათა ჩუენთა ვერ გულის ჳმადეო ვ ზად ესე ჳეშმარტიებისა, რომელი-იგი გვთხრობს ვაჭართა ჳრომთა და ბერძენთა, ვითარმედ ჩუენნი მეფენი ესრე მეფობენ და ესრცთ არიან ეკლესიანი, ჳუარსა თაყუანის-სცემენ და მე მარადის შევისუარებოდე ცრემლთა ცხელითა, ვითარცა სისხლითა. ხოლო აწ თუალთა ჩემითა ვინილე ნათელი გამობრწყინებად წარმართთა ზედა. აწ რადმე შევწირო შენდა, სიონ წმიდაო, გარნა თუ ესე — პირველად: შევწირო შენდა თავი ჩემი შვილებითურთ და ნათესავით და სარუდუბებელით ჩუენით, და მეორედ: ქალაქ კინი მართიანი და დაბად დიდი ბოდსი შენდა შევწირო“. და არლარა აღჳდა ეტლთა მისთა ზედა, არამედ ტერფნი მისნი მიწასა ზედა და ქვათა ზედა მოვიდოდა.

და მოაწია ზედა მდინარესა არაგუსა და დიდროდა [მე]მდინარც იგი ფრიად. და უკუ იქცეოდეს მსახურნი იგი მისნი ყოველნი მართლ-უკუნ. ხოლო იგი დედოფალი ტრლილთ იარებოდა კიდესა მდინარისასა, ვითარცა ყრმად ძუძუასათმს დედისა. სუროდ და დარჩა დედოფალი მარტოდ ზედა მდინარესა. და ხედვიდა იოვანე მთავარების კაპაზი და ყოველი ერი, ვითარმედ ერითა დიდითა მოვიდოდა ვინმე წყალსა ამიერ და აყენებდეს, რადთა დაადრონ გამოსლვად. ხოლო ამან, სარწმუნომან დედოფალმან, ილოცა ღმრთისა მიმართ და აჳდა ერთსა საჳედარსა და შევიდა წყალსა, და განუდგა მდინარც იგი, ვითარცა ტბად მდგომელი აღვილოვან, და განვიდა უფნებლად. და მიეგებოდეს მას ერნი ეკლესიასანი და მეფენიცა



ზღუდა დგა, წყალნი აღმართ დიდდეს. და ზაქარაას ძმე შეშინდა და ივლტოდა. და ჩუენ ყოველთა ზარი შეძრწუნებისა და გუეცა და ეროსა სიძარტლისათდს და ვადუ <დუ> მეთ საქმედ ესე, რომელი იყო სამე ცხად საუკუნომთგან. და მეოთხესა წელსა გამოცდა ბრძანებამ იერუსალჴმით ეროდუ მეფისაგან ყოველთა ძეთა იერუსალჴმისათა განბნეულთა ყოველსა ქუეყანასა: „იხილეთ ერთი ღმერთი და ისმინეთ ერთი შჯულო და ისწავეთ ერთი სიტყუად მოსცისი, რომელ თქუა: „რომელმან თქუას ღმერთი ქუეყანასა ზედა, მოეკიდენ ძელსა“; და თქუა: „წყუელ იყავნ ყოველი, რომელი მოეკიდოს ძელსა“. აწ ესერა აღდგა კაცი ერთი და სახელი მისი დესუ, თავით თუ სით ჰხადის ღმერთსა მამად და რეცა თუ არს იგი თუთ ვითარცა ღმერთი. მოვედით ყოველნი სიკუდილსა მისსა და აღვასრულოთ მცნებამ ღმერთისა და მოსცისი. და წარვიდა აქამთ ელოო ზ, მამის მამის დედის ძმად ჩემი, კაცი მოხუცებული. და ესუა მას დედამ მცხეთელი ტომისაგან ელო მღვდელისა და დამ ესუა ერთი. ევედრებოდა დედამ ძესა თუ სს და ეტყოდა: „წარვედ, შევილო ჩემო, წოდებასა მეფისასა და წესსა შჯულისასა. ხოლო რომელსა იგი განიძრახვენ, ნუ შეერთენ ცნობამ შენი მას, ნუ შევილო ჩემო, რამეთუ იგი სიტყუად არს წინაწარმეტყუელთად და იგავი ბრძენთად, სადღუმლოდ დაფარული ჰურიათაგან და წარმართთა, ნათელ და ცხორება საუკუნომ“.

და წარვიდა ელოო ზ და ყოველნი ჰურიანი ქართველნი და აღესრულა ყოველი აწ, რომელი ვიცით ნინომ ს მიერ ევანგელეთაგან. ხოლო სამოსელი იგი ხუდა ქართველთა ჰურიათა და წარმოდლო ელოო ზ. ხოლო დედასა ელოო ზისსა ესმა ცმად იერუსალჴმით მცხეთას. ოდეს პასანიკმან ჯუარსა ზედა სამრტუალსა და სცა კუერი მტედლისად გოლოგოთას, აქა ესმა, იკრჩხილნა დედა კაცმან მან და თქუა: „მშდუობით მეფობამ ჰურიათამ, რამეთუ მოჰკალით უფალო, კორცითა თუ სი მაცხოვარი და იქმენით მტერ შემოქმედ(ი)სა. ვად მე, საწყალობელსა თავსა ჩემსა, რომელ არცა წინარე მოვეკუედ, რომელ ესემცა ცმად არა სმენილ იყო, და არცა-და კნინ უკუადსრე, რომელ არამცა მეხილვა გამობრწყინებად დიდებამ წარმართთა ზედა“. და ამას ზედა შედსუენა დედამან ელოო ზისმან.

ხოლო ამან ელოო ზ მოილო კუართი იგი <იგი> ქრისტესი მცხეთად, სახლად ჩუენდა, და იხილა, რამეთუ მომკუდარ იყო დედამ მისი ამას



სიტყუასა ზედა. და მიეგებვოდა დაჲ მისი, შესუარული ცრემლითა, ვითარცა სისხლითა, და მოეხუა ყელსა მისსა და მოულო სამოსელი იგი იესუქსნი და შეიტკობო მკერდსა მისსა და მსწრაფლ სულნი წარჰჰცდეს ამით ტკივილითა დედისაჲთა, და ქრისტეს სიკუდილისათჳს და სურვილითა მისისა მოსლვისაჲთა.

მაშინ ოცო შეფუთი დიდი მცხეთას შინა მეფეთაჲ და ყოვლისა ერისაჲ. და ოხილა მეფემან *აბა ზაურ* სამოსელი იგი და უნდა წარღებაჲ მისი, ხოლო ზარსა მას დედაკაცისა მკუდრისასა, ჳელთა გდებასა შეტკებუებით, შეშინდა. და *ელთი ზ* დაჰმარხა დაჲ თუხი და ჳელთა აქუს სამოსელი იგი. და არს ადგილი იგი, რომელი ღმერთმან ოცის და ოცის დედამან ჩემმან და არა ოცყუას, რამეთუ არა ჳერ არს აწ კაცთა სიტყუად. არამედ ესე ოდენ კმა-ოცენ *ნინოდს* მოწაფეთათუის და ქრისტეს მოწმუნეთათუის, რამეთუ მახლობელ არს ადგილი იგი ნაძუსა მას ლიბანით მოღებულსა და მცხეთას ამაღლებულსა. თუნიერ ესე მესმა მაშისაგან ჩემისა: „არს სხუადცა ძალითა შემოსილი მრჩუბლი ამას ქალაქსა შინა, ჳელთა ჩუენთა არს საკურთხეველისა სიმტკიცესა შინა ქვათასა უბოგნელად ვიდრე ჟამადმდე მისა. და აწ ესე სამოსელი ოცუსსა აქა შინა არს უთქუმელად სიტყუთა, ვიდრე ჟამამდე მისა“. რამეთუ მრავალგზის მადბრა დედამან ჩემმან *ნინო* მაშისა ჩემისა მიმართ, რადთამცა გამოგსწლილე ადგილი იგი სამოსლისა მის ჳემმარტად, ხოლო მან გულთად ესე ოდენ დადგა ჩემთანა და თქუა: „არს ადგილი იგი სამარხუო მისი ადგილი, რომელსა ენახი კაცთანი არა დადუმდენ გალობად ღმრთისა მიმართ, მას ზედა არს ადგილი იგი, ვითარცა ადგილი *დაკუბისი* კიბედ ხილული ზეცად აღწევნულად მიერთვან უკონისამდე დიდება-მოუკლებელად მარადის“.

თავი :ვ:

თქუმული მისივე *სიღუნია*ღსი

და ოდეს-იგი მე, *სიღუნია აბიათარისმან*, ვიხილე დედაკაცი ესე წმიდაჲ *ნინო* თავსა ზედა ცხისასა პირველ მცხეთისასა, კოშქსა მაღალსა, ბრინჯთა მათ ქუეშე, ბარტმან მეფისა საგრილთა და სასუენებელთა ჳდა რაჲ იგი, ოდეს-იგი შემუსრნა ღმერთმან *არმა ზ* მაშინელითა მით რისხვითა

და ზარგასა კდელითა ჰრისა მისისადათა (რომელნი-იგი სწერიან წიგნსა მას ანდერძისა მისსა), ხოლო ვიდრე რწმუნებამდე დედუფლოსა ნანადსა ქრისტე ღმერთი ძედ ღმრთისა. და დაყო დედაკაცმან ნინო ექუსი წელი აქა შინა, ვითა-იგი თვით იტყვს ყოფასა შინა მისსა. და ოდეს მე და შუდნი დედანი დაგვმოწაფნა შუჯულოსა მისსა, რამეთუ ჰყოფდა დაფარულად კურნებათა მრავალთა, ვიდრემდის სეფით იწყო კურნებაჲ განგებითა ღმრთისადათა. დედუფალსა ზედა ნანას აჩუენა ღმერთმან ძალი მისი, მის მიერ მაყლოვანსა მას შინა ლოცვითა მისითა განკურნა სენისა მისგან მძიმისა, რომელი კელიოვნებამან კაცთამან ვერ შეუძლო განკურნებად მისა და შემდგომად მისა მოგვ ვინმე მთავარი სპარსი, სახელით ხუარა, სხეული იყო, სულითა უკეთურითა ფიცხლად იგუემებოდა და სიკუდილსა მიახლებულ იყო. [46რ] და იყო იგი მთავარი დედის ძმად ნანა დედუფლოსაჲ. და ევედრნეს დედასა ჩუენსა ნინოს ნანა დედუფალი და მეფეცა ჩუენი იხილვიდა საქმესა მას მცარედ ორგულებით, რამეთუ ეტყვნ ნინოს: „რომლისა ღმრთისა ძალითა იქმ კურნებასა ამა[ს]? ანუ ხარ შენ ასული არმაზისი, ანუ შვილი ზადენის, უცხოეებით მოხვედ და შეურდ მათ და მათ ზედა-აც მოწყალებაჲ და მიგანიტეს შენ ძალი კურნებათაჲ, მით სცნობდებოდე უცხოსა ქუეყანასა. და დიდებულძე არაჲ უკუნისამდე! ხოლო შენ წინაშე ჩუენსა იყავ, ვითარცა ერთი მაწოვნებელითა შვილითა ჩუენთავანი პატრიკემული ქუეყანასა ამას ჩუენსა, არამედ უცხოსა ამას სიტყუასა ნუ იტყვ და ჰრომთა შეცთომილთა რჩუოსა ნუ ვნებავნ ყოვლად თქუამად, რამეთუ ამა ესერა ღმერთნი დიდნი სოფლის მპრობელნი და მწისა მომფენელნი, და წუძისა მომცემელნი ქუეყანით ნაყოფთა გამოძებელნი, ქართლოს იგი ღმერთნი არმაზ და ზადენ, ყოვლისა დაფარულისა გამოძებებელნი ძუენნი ღმერთნი მამათა ჩუენთანი ვატი და ვა, და ფუტი იგი შენი იყავნ დასარწმუნებელად კაცთა მიძარო. და აწ უკუეთუ განჰკურნო მთავარი ესე, განვაძიდრო და ვყო მკუდრ მცხეთას შინა და მსახურად არმაზისა, დაღაცათუ ჰაერთა მით და სეტყვთა შემუსრვად მისი, არამედ იგი ადგილი შეუძრავი არს. იგი არმაზ და ქალდეველთა ღმერთი ეთროჟანო ყოვლადვე მტურნი არაჲ. ამან მას ზღვად ზედა მოადგინის და მან მას ზედა ესეთი ნუ რაჲ მოაწიეს, ვითარცა აქუს ჩუეულებად სოფლისა მპრობელითა და კმა-გუყავნ [ჩემ]გან ჰძმანებაჲ ესე“.

მიუგო წმიდამან და ემბაზმან ქართლოსამან ნინო მეფესა და რქუა:

„მეფე, შენ უკუნისამდე ცხონდი სახელითა ქრისტესითა და ვედრებითა დედისა მისისისადათა და ყოველთა წმიდათა მისთადათა მოავლინენ შენ ზედა ღმერთმან, ცისა და ქუეყანისა შემოქმედმან, და მბადებელმან ყოვლისა და ბადებულისამან, დიდისა დიდებისა მისისაგან და აურაცხელისა მოწყალეებისა მისისაგან მოგივლინენ შენ, ვითარცა საცუმილისაგან, ნაბერწყალი ერთი მადლისა მისისადა, რადთა გულის კმა-ჰყო სიმაღლც ცისადა და სინათლც მზისადა, და სიღრმც ზღვისადა და საძირკუეველი მისი, და სიფრცც ქუეყანისადა და საფუძველი მისი. და უწყებულ იყავნ, მეფე, თუ ვინ შემოსნის ცანი ღრუბლითა, და ქუხნ საშინელითა კმითა ჰაერისადათა, და იძრვინ ქუეყანადა სიმაფერთა მისითა, და რბიედ მეხის-ტეხანი და კუალსა მათსა ეგ ზებინ ცეცხლი გულის-წყრომითა მათითა, ანუ ოდეს შედძრის გეშაპი იგი დიდი ზღვათა შინა და შედძრის ყოველი ქუეყანადა, ვიდრემდის დადრლუნინ მთანი მყარნი და კლდენი და ქვანი. და მეცნიერ გყა^აგნ შენ, იესუ, ამას ყოველსა ზედა-მიწევნად, რამეთუ ღმერთი არს ცათა შინა და უხილავ არს თავადი იგი ყოვლისაგან და ბადებულისა თუნიერ ძისა მისისა, რომელი მისგან წამოვიდა და ქუეყანასა ზედა გამოჩნდა ვითარცა კაცი, რომელმან აღასრულა ყოველი, რომლისათუც მოსრულ იყო და აღდგა მათვე სიმაღლეთა მამისა თანა. მან ხოლო იხილა დაუსაბამოდ იგი და იგი მხოლოდ მაღალ არს და მდაბალთა ჰხედავს და მაღალნი შორით იცნეს. მეფე, ახლოს არს მიახლებად შენი ღმრთისა, მე ვხედავ, რამეთუ არს ამას ქალაქსა შინა სასწაული ერთი: სამოსელი იგი ძისა ღმრთისადა აქა არს, და ხალენისადა მის ელიადსადა ყოფადა თქუესვე ვითმე აქავე და მრავალნი სასწაულნი არიან აქა, რომელნი თუთ ღმერთმან გაუწყნეს. მე კულა ესე მთავარი განგკურნო ძალითა ქრისტეს ჩემისადათა და ჯუარითა ვნებისა მისისადათა, ვითარცა-იგი დეოფალმან ნანა განკურნა ღმერთმან სენისაგან დიდისა. და რად იგი ვაუწყე, მას ჰყოფს იგი, რადთა სულცა თუცი განაბრწყინოს და ერიცა თუცი მია[ა]ხლოს ღმერთსა“.

და მოჰგუარეს მთავარი იგი. და წარიყვანა იგი, და მე და ნანა დეოფალი სამოთხესა მას შინა, ნაძუთა მათ ქუეშე. და დაადგინა იგი, და აღმოსავალით აღაყრობად სცა კელნი და ათქუმიან სამ-გზის: „ვიჯმნი შენგან, ეშმაკო, და შეუდგები ქრისტესა, ძესა ღმრთისასა“. და ტროდა

ნინო სულთ-ქუშითა სულისა მისისაჲთა, და ითხოვედა ღმერთისაგან შეწევნასა
კაცსა მას ზედა, და ჩუენ მის თანა, ერთ დღე და ორ ღამე. და მსწრაფლ
განვიდა მისგან სული იგი ბოროტი, და დაემოწაფა ნინოს და სახლთ და
ერთიერთ მისით, და აღიდებდეს მამასა და ძესა და წმიდასა სულსა აწ და
მარადის და უკუნითი უკუნისამღე, ამჴნ.

ქ. თავი :ზ:

აღწერილი მისივე *სიღუბნისაჲ*, ჰურისა დედაკაცისაჲ,
რომელი იხილა, დაწერა ძირიან მეფისა მოქცევისა,
შეგრდომისა ნინოჲსა და ჯუარისა აღმართებისათჴს,
და ეკლესიათა შენებისათჴს და ყოველთა
სასწაულთათჴს

და იყო დღესა ერთსა, ქამთა ზატხულის პირისათა, თთუესა
ივლისისასა :კ:, დღესა შაბათსა, აჯდა მეფე და განვიდა ნადრობად
მუხნართ კერძო, და მოვლო სანახები მუხნარისაჲ და განვიდა მათა ზედა
მალნართა თხოთისათა, რაჲთამცა მიღხილა ასდ და კასდ და უფლოსციხედ.
და განვიდა თხემსა მის მთისასა შოვა სამხარს, ოდენ დაბნელდა მას ზედა
მზს და ექმნა ღამე ბნელ-უკუნ ფრად. და დაფარნა ბნელმან არენი და
ადგილნი იგი. და განიბნინეს ურთიერთარს ჭირისა მისგან და ურვისა
ყოველნი ერნი მისნი და დარჩა მეფე მარტო და იარებოდა მათა მათ
ზედა, მის მთისა მალნართა შინა, შეშინებულ და შეძრწუნებულ. და დადგა
ერთსა ადგილსა და წარეწია სასოებაჲ ცხორებისა მისისაჲ. ხოლო კეთილის
მყოფელმან ღმერთმან აქცია გონებაჲ მისი უცნობელობისაგან ცნობად და
უმეცრებისაგან მეცნიერებად. და მოეგო თავისა ცნობასა და განიზრახვიდა
გულსა თჴსსა: *ჲაჲა* ესერა ვხედავ, რამეთუ ვხედევდ ღმერთთა *არმაზს* და
ზადენს და არაჲ ვპოვე ღვინებაჲ ჩემ ზედა. აწ რომელსა-იგი *ნინო*
ქადაგებს ჯუარსა და ჯუარ-ცმულსა და ჰყოფს კურნებასა მისითა
სასოებითა, არამცა ძალ-ედგაჲ კსნაჲ ჩემი ამის ჭირისაგან? რამეთუ ვარ
მე ცოცხლივ, ვითარცა ჯოჯოხეთს შინა და ვერ უწყვი ესე, თუ ყოვლისა
ქუეყანისათჴს იქმნა დაქცევაჲ და ნათელი ბნელად გარდაქცა, ანუ თუ
ჩემთვის ოდენ, აწ თუ ჩემ ზედა ოდენ არს ჭირი ესე, ღმერთო *ნინოჲსო*,



განმინათლო ღამედ ესე და მიჩუენე საყოფელო ჩემი, და აღღვიარო სახელი შენი და აღფშართო ძელი, და თაყუანის-ვსცე მას, და აღფაშენო სახელი სახლად შენდა და სალოცველად ჩემდა, და ვიყო მორჩილ ნინოძსა და რჩულისა ზედა ჰროძთასა. **და** ესე არღა წარმოეთქვა, განთენა და მსწრაფლ და გამობრწყინდა მზც.

და გარდამოვიდა მეფც ცხენისაგან და დადგა მას ადგილსა, განიპყრნა კელნი მკარნი აღმოსავალით და თქუა: **და** შენ ხარ ღმერთი ყოველთა ზედა ღმერთთა და უფალი ყოველთა ზედა უფალთა; ღმერთი, რომელსა ნინო იტყდს და საქებელ სახელი შენი ყოვლისაგან დაბადებულისა ცასა ქუეშე და ქუეყანასა ზედა. რამეთუ შენ მიცსენ ჭირისაგან ამის მსწრაფლ სახელდებითა შენითა და განმინათლო ბნელი ჩემი. აჰა ესერა მიცნობიეს, რამეთუ გინდა ცსნაჲ ჩემი და მიახლებად შენდა, უფალო კურთხეულო. და მე ამას ადგილსა აღფშართო ძელი ჯუარისაჲ, რომლითაცა იღიდებოდის სახელი შენი და იცსენებოდის საქმც ესე სასწაულთაჲ ამათ უკუნისამდე, ამენ! **და** დასწავლა ადგილი იგი და წარმოემართა. და ვითარცა იხილა ნათელი ერმან მისმან, გამოერთვოდა განბნეული იგი, და მეფც ღაღადებდა და ეტყოდა ყოველსა მას ერსა მისსა: „მიეცით დიდებაჲ ღმერთსა ნინოძსა ყოველმან ერმან, რამეთუ იგი არს ღმერთი საუკუნოჲ და მას მხოლოსა ჰშუენის ქებაჲ უკუნისამდე, ამენ!“

ხოლო ნანა დედუფალო და ყოველი ქალაქი განვიდეს მიგებებად მეფესა, რამეთუ ესმა ჰრველ წყმედაჲ და კუალად მოსლგაჲ მკუდრობით. და მიეგებვოდეს ქინძარს და ღართას. ხოლო ნეტარი ნინო დადგრომილ იყო ლოცვასა მწუხრისასა მაყოფანსა მას შინა ჩუეულებისაებრ თცსისა ჟამსა მისსა და ჩუენ მის თანა ორმეოც და ათი სული.

და იყო, ვითარცა შემოვიდა მეფც, იძრვოდა ყოველი ქალაქი და კმითა მაღლითა ღაღადებდა მორთან მეფც: „ჰოჲ, სადა არს დედაკაცი იგი უცხოჲ, რომელ არს დედაჲ ჩემი და ღმერთი მისი მკსნელი ჩემი?“ ვითარცა ესმა მეფესა, თუ აქა მაყოფანსა არს და ილოცავს, მოდრკა მეფც იგი და ყოველი ლაშქარი მის თანა და მოვიდა. და გარდამოღჭრა საკედრით და ეტყოდა ნინოს: „აწ ღრს ვარა სახელსა ღმრთისა შენისასა და მკსნელისა ჩემისასა?“ ხოლო იგი ასწავებდა და აწუევდა მსწრაფლ თაყუანის-ცემასა

აღმოსავალით, აღსაარებით ქრისტეს, ძესა ღმრთისასა.

მაშინ იყო გურგუზნავად დიდი. და ტირილი ყოველისა კაცისადაც, ოდეს
ჰხედვიდეს მეფესა და ცოლსა მისსა ცრემლოსანთა.

და ხვალს დღე წარავლინნა მოციქულნი საბერძენთა. და ნეტარი
ნინო ასწავებდა მეფესა და ყოველსა ერსა დღც და ღამე ჭეშმარიტსა მას
გზასა.

თავი : 13:

მისივე აღწერილი აღმწმენბისათჳს

ეკლესიისა

და ოდეს წარემართა მეფც და ყოველი ერი ქართლისაჲ
მოსწრაფებით ქრისტანობად, ვიდრე მდღელთა მათ მოსლვადმდე, ეტყოდა
ნინოს მეფც: „სადა უშენო სახლი ღმერთსა?“ ხოლო მან ნეტარმან ჰრქუა:
„სადაცა მეფეთა გონებაჲ მტკიცე არს“. ხოლო მეფემან მან ჰრქუა:
„მიყუარან მე მაყუალნი ისი შენნი და მუნ მინებს გონებითა ჩემითა, რაჲთა
აფუშენო სახლი ღმერთსა სალოცველად ჩემდა. განა არა ეგრე, არამედ არა
გჰბრძო საძოთხესა ამას სამეფუფოსა და ნაძუთა ამათ სიმაღლესა, და
ბაბილონთა მათ ნაყოფიერობასა და ყუავილთა მათ სურნელებასა. და მას
შინა და აღუშწნო ტაძარი ღმრთისა სალოცველად ჩემდა და სადიდებელად
სახელსა მისისა“.

და მსწრაფლ მო-ხოლო-იდეს ძელი და დაღწყეს მას შინა
ეკლესიასა. და მოჰკუეთა ნაძუ იგი და შეჰშხადა და სუეტად და ძრთა მისთა
ზედა დადგა საძირკუველი. და იყო სუეტისაჲ მის საშინელად ხილვად და
საძირკუველი, რომელ ზემო წერილ არს. ხოლო მეფც, ოდეს დაბრკოლდა
სუეტისა მის აღმართებასა, და წარვიდა სახედ თჳსა გულ-კლებით იგი და
ყოველი ერი მას ღამესა.

და დადგა ნინო სუეტსა მას თანა და მე თანა ვიყავ და სხუანი
თორმეტნი დედები ნინოდს თანა. ხოლო იგი სანატრელი გოდებდა და
დაადენდა ცრემლთა სუეტსა მას ზედა სულ-თქუმით. და ვითარცა შოგა
ღამეს. ოდენ იყო, წარმოექცეოდეს მთანი ესე ორნი, ზადენ და არმაზ, რეცა
თუ ესრცით ჩამოღრღუეს და დააყენეს ორთავე წყალნი. და მტკუარმან



გარდამოჰხეთქა და წარჰქონდა ქალაქი და შედქმნეს კმანი საზარელნი ტყეებისა და სივლტოლოსანი. და მეყსეულად დასცხრეს კმანი იგი და იყო არარად. და დადგა ნეტარი იგი და განეყრნეს კელნი ცად მიმართ და თუაღნი ღმერთად და ითხოვდა, რა მათა არა დაებრკოლოს საქმე ესე, რომელსა წარმარ[თ]ებულ არს მეფე.

და ვითარცა არღა ეყივლა ქათამსა, სამთავე კართა ქალაქისათა დასცა ზარსა ლაშქარმან ძლიერმან და დალეწნეს კარნი და აივსო ქალაქი სპარსთა ლაშქრითა და შედქმნა ზარის განსა კდელო ზრინვამ, და ყივილო, და კლვამ და სისხლი დიოდა. და ადვსო ყოველი ადგილი და მოვიდა ჩუენ ზედა სიმრავლმ მახვლთამ და ძახილთამ, და დადნეს კორცნი ჩუენნი, და განილია სული ჩუენი. ხოლო წმიდამ იგი და ნეტარი დგა შეუძრწუნებელად. და მე ვტროდუ მამისა ჩემისა და ნათესავთა ჩემთათვს და მსწრაფლ მესმა, კმობდეს ძლიერად: „ბრძანებს [მეფემ] სპარსთამ ხუარა და მეფეთა მეფემ ხუარან ხუარან, ყოველი ჰურიამ განარინებით პრისავან მახვლსა“. და ვითარცა კმამ ესე მესმა, უკუმოვეგე ცნობასა და შეიარგულდით მე და ათნი იგი ჩემ თანა და მოახლებულ იყენეს მახვლოსანნი და ჩუენსა გარემოს სცემდეს და კლვიდეს.

და მსმა კმამ ძლიერად, ძარიან მეფემ შეიპყრესო. და გარემო მხილა მკნედ მოღუაწემან მან და თქუა: „კუალად ყვესა? ვიცი აწ დიად სამე ჰმჭარს და ვჰმადლობ ღმერთსა, ვითა ესე ნიშანი მათისა წარწყმედისამ არს და ქართლისა ცხორებისამ და ამის ადგილისა დიდებისამ“. ხუგეშინის-გუცემდა ჩუენ ვითარცა მოძღუარი კელოვანი და ჭეშმარიტად მოძღუარი და მოციქული სანატრელი. და მოექცა ერსა მას მომავალსა ჩუენ ზედა და ჰრქუა: „სადა არიან მეფენი სპარსთანი ხუარა და ხუარან ხუა? საბასტანით გუშინ წარმოხუედითა? მალე სამე წარმოხუედით და დიად სამე ლაშქარი ხართ, და ძლიერად დაჰლეწეთ ქალაქი ესე და მახვლი დაეცით ქართა და ნიავთა, წარგუალეთ ჩრდილოდთ კერძოთა მთათა და კედართა ადგილთა. აქა მოვიდა, რომელსა თქუენ ევლტით. და განძრა მარჯუენამ კელი ჯუარისა სახედ და მეყსეულად უჩინო იქმნა ყოველი იგი, და იქმნა დაყუდება. და ჩუენ ვადიდებდეთ ღმერთსა და ვჰნატრიდეთ წმიდასა მას ნინოს



ხოლო ვითარცა ცისკარი აღედებოდა, მიერულა დათა მათ ჩემთა ყოველთა, ხოლო მე მღვდარე ვიყავ. და იგი დგა ზე ჴელთ-განაწობილი, აჰა ესერა ზედა მოადგა ჴაბუკი ერთი ყოვლად ნათლითა შემკული და შებრანდნილი ცეცხლისა ზეწრითა, და არქუნა სამნი რამე სიტყუანი ნეტარსა მას. ხოლო იგი დაეცა პირსა ზედა თვისსა. და მიყო ჴელი ჴაბუკმან მან სუეტსა მას და უპყრა თავი, და აღმართა და წარილო სიმაღლესა შინა. და მე განკვრევილი მიფეხნელი და ვარქუ: „დედუფალო, რამ არს ესე?“ ხოლო მან დამდრკა ქუეყანად და ტრილად ვიწყეთ ზარსა მას ზედა. და მტირედისა ჟამისა შემდგომად აღდგა და აღმადგინა მეცა. და განვეშორენით მას აღვილსა, რამეთუ სხუანი იგი დედანი იყუნესვე კადე. და აჰა ვიხილეთ სუეტო იგი ცეცხლის სახედ ჩამოვიდოდა და მოეახლა ხარის[ს]სა მას, დაემართა და დადგა ქუეყანით აღშორებულად ვითარ ათ ოდენ მწყრთა, და ნელად ნელად ჩამოაცვალებდა ხარის[ს]ხად თვისავე მონაკუეთსა მას ძირსა ზედა ნაძუსასა.

ვითარცა რიჟურაჟუ იყო აღგომილ იყო მეფე გულ-გდებული ურგათაგან და მოდხედნა სამოთხესა მას, დაწყებულსა მას თვისსა ეკლესიასა, რამეთუ მუნ მტკიცე იყო გონებად მისი. და იხილა ნათელი იგი, ვითარცა ელვად ზეცად აღწევნული სამოთხით მისით. იწყო სრბად, მკვრცხლ მოვიდოდა ყოველი სიმრავლს სახლისა მისისა და ყოველი ერი ქალაქისა მის თანა. და ვითარცა მოვიდეს და იხილეს საკვრეველი იგი ნათლითა ბრწყინვალს სუეტო იგი ჩამოვიდოდა აღვილად თვისა, რეცა თუ ვითარცა ზეცით დადგა ხარისსსა თვისსა ზედა და დაემყარა ჴელით შეუხებელად კაცთაგან.

ნეტარ მას ჟამსა, რამ იგი იქმნებოდა!

შიშითა და სიხარულითა აღივსო მცხეთად ქალაქი. და სდიოდეს მდინარენი ცრემლთანი მეფეთა და მთავართა და ყოველსა ერსა სულთქუმიით ასულისა მისისადათა, აღიდებდეს ღმერთსა და ჰნატრიდეს ნინოს. და იქმნეს მას დღესა შინა სასწაულნი მრავალნი.

ბრველი სასწაული

მოვიდა პურიად, ბრმად შობითგან და მიეახლა სუეტსა მას და მუნთქუესვე იქმნა მხედველ და აღიდებდა ღმერთსა.



მეორე

სეფე-წული ვინმე ყრმად, ამაზასქანი ყრმად, იღვა პრაფაღწლისა ს<წ>ნეულო, წარძართი. მოძლო დედამან მისმან სარწმუნოებით, დადვა ცხედრითა წინაშე სუეტსა მას ნათლისასა, და ნანდკლვე ჭეშმარიტად ნათლისასა და დიდებულსა, და ევედრებოდა დედამ იგი ყრმისად მის ნეტარსა *ნინოს*: „მოჰხედე, დედუფალო, ძესა ჩემსა მახლებულსა სიკუდილდ, რამეთუ ვიცი, ვითარმედ ღმერთი ღმერთთად იგი არს, რომელსა შენ ჰმსახურებ და ჩუენ გკჳადაგებ“. მაშინ შეახო კელი *ნინო* სუეტსა მას და დასდვა ყრმასა და ჰქუა: „უკუეთუ გრწამს იესუ ქრისტე, ძმ ღმრთისად, კორციელად მოსრული ცხორებად ყოვლისა სოფლისა, განიკურნე ამიერითგან და მას აღიდებდი, ვისმან ძალმან განგკუურნა“. და მსწრათლ აღდვა ყრმად იგი ვითარცა უტკივნელო.

და დაეცა შიში დიდი მეფესა და ყოველსა ერსა და აღიდებდეს ღმერთსა. და თითო-სახენი სხეულნი მოვიდოდეს და განიკურნებოდეს, ვიდრემდის მეფემან შეუქმნა საბორველო ძელისად გარემო სუეტსა მას და დაფარა ხედვისაგან. და ეგრე სახედ შეეხებოდეს ერნი სარჩულსა მას და განიკურნებოდეს.

და მსწრათლ დაღწყო მეფემან და აღაშენა ეკლესიად სამოთხესა შინა.

მაშინ მოვიდეს მოციქულნი *საბერძნეთით* — მღდელთ-მოძღუარნი, და მღდელნი და დეაკუნნი, და იწყეს ნათლის-ღებად მეფემან და ყოველმან ერმან მისმან, ვითარცა ზემო წერილა.

თავი :თ:

აღწერილი აბათარ ჰურისად, რომელი იყო მღდელი ბაგინსა შინა
მცხეთას და ნათელ-ილო კელსა შინა
ნინოდ სსა

მე მღდელი ვიყავ წილით ხუედრებული სამღდელოსა მის წელიწადისასა, ოდეს ესე ნეტარი დედაკაცი *ნინო* მოვიდა *მცხეთად*. და ჩემ თანა წიგნები მოსრულ იყო *ჰრომიით* და *ეგვპტით* და ბაბილონით ჰურითა მღდელთად და მწიგნობართად, წერილი ესრცთ: „სამად განხეთქა ღმერთმან

მეფობად *ისრაელისა*. ამა ესერა წინაწარმეტყუელები ჩუენნი დასცხრეს, რამეთუ რომლისა-იგი სული აწუევედა მათ სიტყუად, ყოველი აღესრულა და განვიბნივენით ჩუენ ყოველსა ქუეყანასა და ჰრომთა დაიპყრეს ქუეყანად ჩუენი მეფობით. და ვტროდდეთ ჩუენ ყოვლითურთ მალლისა მიმართ და არა ისმინა ჩუენი, რამეთუ განვარისხეთ ჩუენ ღმერთი, შემოქმედი ჩუენი. აწ იხილენ შენ წიგნნი *მოსცხნი*, რომელმან დამიწერნა ჩუენ ესე ყოველი: „რომელი დტყოდის ქუეყანასა ზედა თავსა თვსსა ღმერთად, მოკუედინო“. ანუ უკუე შევსცეთით ნაზარელისა მის დესუდს სიკუდილსა, რამეთუ ვხედავთ, ოდეს პირველ მამათა ჩუენთა შესცუდიან ღმერთსა და ყოვლადვე დაივიწყიან იგი, და მისცნის კელმწიფესა ძხელსა და ტყუეობასა. და კუალად ოდეს მოდქტიან და დაღად[ნმგ]-ყვიან, მსწრაფლ დასცხრის რისხვისაგან და განარინნის იგი ჭირისაგან და ესე შუდ-გზის ვიცით წერილთაგან. ხოლო აწ ვინაფთვან კელნი შეასხნეს ძესა მას დედაკაცისა მწირისასა და მოკლეს, ადლო ღმერთმან კელი მისი ჩუენ ზედა, განხეთქა მეფობად ჩუენი, განგუაშორნა ტაძარსა ღმრთისასა და უგულუბელს-ყო <და უგულუბელს-ყო> ნათესავი ჩუენი. და არს :ხ: წელ, ვინაფთვან არცა ისმინა ვისი ჩუენგანისაფ ვედრებაფ და არცა ყო ვედრებაფ [ღ]ა ღბინებაფ. საგონებელ გუჩს, ვითარმედ ზეცით იყო კაცი იგი“. და ესე განემრავლა მოწერილო. ხოლო ვითარცა მესმა ესე და წარვიკითხე წიგნები ესე, გულსა შემიკდა და ვიწყე კითხვად დედაკაცისა ამის *ნინო*სა ქრისტცხსთვს, თუ ვინაფ იყო იგი ანუ რომლისა მიზეზისათვს იქმნა კაც ღმერთი.

მაშინ აღადლო პირი თვსი *ნინო* და აღმოდიოდეს სიტყუანი მისნი, ვითარცა ჯურღმულისაგან და ვითარცა წყარომან დწყო ღბინებად საუკუნიფთვან. ჩემ თანა წიგნთა ზეპირით წარმოდტყოდა და ყოველსა განმიმარტვიდა; და ვითარცა მძინარესა განმადკძებდა, და ვითარცა შესუენებულსა გონებასა განმინათლებდა და მამათა ჩემთა შემაწყალებდა, და შუგულოსა ცვალებასა დამაჯერებდა, ვიდრემდის გულოსკმა-მიყო და მრწმენა სიტყუათა მისთაფ იესე ქრისტე, ძე ღმრთისაფ, და ვნებაფ მისი, და ადგომად მისი დიდებით, და მესამედ — მეორედ დიდებით მოსლვად იგი მისი, და ჭეშმარიტად იგი არს მოლოდებაფ წარმართთაფ.

მას ქამსა მე და ასული ჩემი ღირს ვიქმენენით საპკურებელსა მას



განსაწმედელსა ცოდვათაგან ემბაზისა წყალსა, რომელსა ინატრიდა დავით და ვერ ეწიფა. და მესმა კმაღ ახლსა რჩულისაჲ, ერთად მგალობელთაჲ, რომელსა ინატრიდა იგივე დავით. და ღირს ვიქმენ მე ზიარებად ჭეშმარიტსა კორცსა და სისხლსა ღმრთისა კრავისასა სოფლისა ცოდვათათჳს შეწირულსა, რომლისაჲ ტკბილ არს გემოდს ხილვად. და ამას ზედა ყავნ ღმერთმან განსვლად ჩემი კორცთა ამათგან, რამეთუ მრავალნი სასწაულნი იხილნეს თუალთა ჩემთა *ინოღს* მიერ *მცხეთას* შინა დღეთა ჩემთა.

ხოლო სახლი *ელიოზისი* [იყო ქალაქსა დასავალთ, კარსა დასავლთ მოგუთისასა, მტკუარსა ზედა. და იყო მცირე ბაგინი სამარხოჲ მათი, რომელსა ზედა აღმართა ჯუარჩი ქრისტესი *ინო*, დედამან ჩემშან. ერთიერთსა ნათელ-სცემდა მუნ შინა კელითა იაკობ მღვდელისაჲ და *პროსტო* მთავარ-დეაკონისაჲთა მთავარ შეიღებსა წილ ქალაქისათა. და ერქუა ადგილსა მას მთავართა სანათლო. და ფრიად დიდებულ იყო ადგილი იგი დღეთა ჩუენთა, რამეთუ დგა იგი ველსა თჳნიერ ნაშენებისა. და მათ დღეთა შეეძალნეს ჰუროანი ჩემ ზედა მცხეთით და დასცეს ხც იგი კილამოდ, რომელი დგა კარსა ზედა ბაგინისასა, რომელი განაშუენებდა ადგილსა მას, რამეთუ გარდაერთხნეს რტონი მისნი ყოველსა მას სტოასა ბაგინისასა. და იწყეს წარსლვად სადაჲთვე თჳნიერ ბარაბიანთასა, რომელ მოინათლა ორმოცი სული სახლისა მათისაჲ და მკჳდრ იქმნეს *მცხეთას* შინა. და მიუბოძა მეფემან დაბად, რომელსა რქჳან ცხე-დიდი და იყუნეს დიდ წინაშე მეფისა და ქრისტეანე ჭეშმარიტად მადლითა ნეტარისა *ინოღსითა* და მოძღურებითა მისითა.

და მათ დღეთა შინა მოღწია პრომით წიგნი წმიდისა პატრიაქისაჲ *ინოღსა* და მეფისა და ყოვლისა ერისა *ქართლისა*. და მოევლინა ბრანგუ დეაკონი ქებისა შესხმად, და კურთხევისა მიცემად, და ამის ნეტარისა ლოცვისა წარღებად და მადლისა ზიარებად. და აქუნდა წიგნი ბრანგუთა მეფისაჲ *ინოღსა*, რამეთუ მოენათლნეს იგინი მამასა მისსა. და ესე ყოველი მისმენილ იყო მათა *იერუსალემით*, *პრომით* და *კოსტანტინეპოლით*, ვითარმედ ამას ქუეყანასა ჩრდილოჲსასა მიეფენა მხც იგი სიმართლისაჲ, ქრისტეჲ. და ამისათჳს ნატრით წერლი წიგნი მოეწერა, რადთამცა ეუწყნეს აქანი იგი სასწაულნი საკურგელნი სუეტისაჲ მის საკურგელებათა და ძალთა

კურნებისათა, რომელი იხილა დეაკონმან და შეძრწუნებული აღიღებდა
ღმერთსა, წარილო წიგნები და წარვიდა.



თავი :ი:

წიგნდ, რომელ დაწერა ძირიან მეფემან ქართლისამან
ჟამსა სიკუდილისასა. დაწერა კელითა
იაკობ მთავარ-ებისკობოზისადათა და მისცა სალომეს,
ძის ცოლსა მისსა, რამეთუ იყო იგი მეცნიერ ყოვლისა
უბიწო ჭეშმარიტებისა

და იყო ჟამსა მას, რომელსა მოღვსენა უფალმან ქუეყანად
ქართლისად, დაბნელებული ცოდვითა და საფსც ცთომითა ეშმაკთა
მონებისადათა. და ვიყვნით ჩუენ ვითარცა ცხოვარნი კლვადნი, რამეთუ ვარ
მე მეოცდათექუსმეტმე მეფეს, ვინადათვან მამანი ჩუენნი აქა მოღვივნეს,
ვიდრე დღეთა ჩემთადმე. შეჯამნა შეილნი მათნი ცეცხლმან მსხუერზლად
კერზათაუკს. და უბრალოდ იგი ერი ქუეყანისადა ამის, რომელნი შვილთა
მათთა, ვითარცა თავსა, აღებდეს მამანი <მამა> ჩუენნი ძალოთ, რადათა
სათნო ეყუნენ კერზათა და უფროდს ხოლო მათთა ამათ ორთა, არმაზს და
ზადენს, რომელთა ქუანიცა მათნი დალბიან სისხლთა ჩხვლთადათა და ღირს
არზან იგი მათნი ასაოღვად ცეცხლთა ღმრთისა მიერითა. ხოლო ოდეს
მოღწია ჟამი და მოვიდა ნინო პირველ ვითარცა ტყუედ, და ვითარცა უცხოოდ,
და ვითარცა მწარი, და ვითარცა შეუწევნელი, და ვითარცა უტყუ და უსმი,
რომლთა აწ მექმნა ჩუენ ტყუედ იგი დედუფალი და უცხოოდ იგი დედაკაცი,
შეუწევნელი იგი — შესავედრებელ ყოველთა, უტყუ იგი — ქადაგ ძლიერ
და მეცნიერ დაფარულთა ჩემთა. და ამან აღანთო გუოსა ჩემსა სანთელი
ნათლისადა და შოაღამეს ოდენ მიჩუენა მზეს ბრწყინვალეს ქრისტე ღმერთი,
რომლისა ნათელი მისი არა მოაკლდების უკუნისამდე, ამენ! და მექმნა ჩუენ
მოდღუარ და შემძინნა ჩუენ ვრად ქრისტესა ნათლის-ღებითა და ძელისა
თაყუანისცემითა, მომცა ჩუენ რჩული ახალი ცხორებისადა და სიხარულისადა,
და ღირს-გუყუნა გემოდს ხილვად საიდუმლოსა ზეცისასა. ხოლო მე ვიქმენ
მორჩილ ბრძანებათა მისთა, რომელიცა მასწავა, და აღვაშცნე ეკლესიად
სალოცველად ჩემდა სამოთხესა შინა მამათა ჩუენთა მეფეთადასა და მას



შინა სუეტი ესე ნათლისაჲ, რომელი მე ვერ შეუძლე ყოვლითა ძალითა და ცნობითა კაცობრივითა, რომელი მაღალმან მან მოავლინა ერთი მსახურთაგანი და წამისყოფითა მისითა ქუეყანით ცად აღვიდა. თუთ თუაღნი თქუენნი ჰხედვიდეს საკურველებასა მისსა და მერმე საშინელად კურნებათა მისთა. და ოდეს მაუწყა ჩუენ აღმართებად ჯუარი, წარვაგლინენ ხურონი და ეძიებდეს ხესა, ვიდრემდის პოეს მარტოდ მდგომი კლდესა ზედა, რომელსა არა მიხებულ იყო კელი კაცისაჲ, არამედ მონა[ნმე]დრეთაგან სმენილ ვიცოდეთ სასწაული ხისაჲ მის. ოდეს არემსა ეცის მსარი, ივლტინ ბორცუსა მას ქუეშე, რომლისა ზედა დგა ხეჲ იგი და სწრაფით ჭამნ თესლსა მისსა ჩამოცვენულსა და სიკუდილისგან განერის.

და ესე მითხრიან და ვიყავ დაკურვებულ მას ზედა. ამისთჳსცა მოვჰკუეთე ხცე იგი და შევქმენ ჯუარი სამი: ერთი, რომელი ზეცით იყო სასწაული მისი, და ერთი აღვჰმართე ადგილსა მას, რომელსა მხილებაჲ იგი უფლისა მიერ ვიხილე მთასა ზედა თხოთისასა, და ერთი ქალაქსა უყარმას, რომელ წარიღო სალომე. და აღვაშენე ქვისა ეკლესიაჲ მაყუალთა მათ ზედა ნინოღსთა და ვქმენ მას შინა საქმც, ქმნილ უჩინოჲ და ცხადი, ღიდებაჲ მაყლოვანთაჲ მათ, რამეთუ არა გამოვა კუ ფურცელი ერთი მათ, არამედ ხერხითა გარე-შევიცვენ, რამეთუ მქხილვინეს მრავალნი სასწაულნი მას შინა და კურნებანი ღიდნი. და შევქმენ ზემოჲ ეკლესიაჲ ქვითა თავისა ჩემისათჳს და ერისათჳს სიმრავლისა, რამეთუ ქუემოსა ეკლესიასა ერქუა წმიდაჲ წმიდათაჲ და ყოვლად ვერ ვიკადრებდით კართა მისთა განხუმაღ, თუნიერად კურთაკესა ღიდესა. არცა შესლვად ვინ იკადრებდა, თუნიერ მღდელისა, რომელი გალობნ მას შინა, რამეთუ შიში იყო ყოველსა ზედა კაცსა სუეტისა მისგან ცხოველისა. ჰხედვიდა ყოველი კაცი სუეტსა მას ვითარცა ძალსა ღმრთისასა და მიხედვადცა ვერ ეუფლა კაცსა სარჩულსა მისსა, რომელსა თუთ ჰხედავთ. და აწ ვერ ვიკადრე წინაშე მისსა მოკუეთად მიწაჲ სამარედ ჩემდა, რადთამცა დაემარცვნეს კორცნი ჩემნი, რამეთუ მეშინოდა მისგან ცოდვისა ოდენ მოქმედსა და შევიძნადე ზემო საფლაგი ჩემი, რადთა თუაღსა მისსა მივერდო და წყალობასა მისსა მივემთხუო ადგომასა მას ყოველთასა.

და ვითარცა მოველოდე განსრულებასა კეთილთა ღმრთისათა ჩემდა

მოძარტ და ვიტყვოდე, შევპვედრო სული ჩემი დედასა მას ჩემსა წმიდათასა
ნინოდს, მაშინ შევპვედრა უბიწოდ იგი სული მისი დამბადებელსა თვისსა,
რამეთუ აღ-სამე-ესრულა ყოველი მცნებად ღმრთისაჲ და სწავლად
წმიდისაჲ მის მამის, დედის ძმისა მისისაჲ, დაგუაობლნა ჩუენ ახალშობილნი
ჩხუღნი უმეცარნი. და შევძრწუნდი სულითა და ჩემ თანა ყოველი ნათესავი
ჩრდილოდასაჲ, რამეთუ აღმო-ოდენ-სრულ იყო მხვ და მო-ოდენ-ფენილ
იყო ნათელი, დაფარა ღრუბელმან ზამთრისამან ჩუენგან, ხოლო იგი წმიდაჲ
ყოვლადვე ნათელსა შინა არს და ყოველთა განანთლებს. და განვიძრახე
გულსმოდგინედ წარმოძრვად გუამი მისი აქა, წინაშე სუეტსა ნათლისასა,
არა ვპოვე ღონემ, ყოვლადვე ვერ განერნეს ფერკნი ცხენთა მათთა და
ვერცა შეძრა ორასმან კაცმან ცხედარი იგი, რომელსა ზედა შედსუენა.

მაშინ დავჰმარხე გუამი მისი ყოვლადვე დიდებულისაჲ ბოდს, დაბასა
კბუეთისასა და ვიგლოოდ :ლო: დღე სამეუფოდთ ჩემითურთ. და აღვაშვნიე
მას ზედა ეკლესიაჲ და განვადიდე ფრიად. და მისითა ოხითა მაქუს სასოებაჲ
ძისა ღმრთისაგან და სარწმუნოებასა ზედა წმიდისა მამისასა, ძლიერისა
ცხოველს-მყოფელისა სულისასა დავიძინებ და მოველი აღდგომასა, და
შეგვედრებ სულსა ჩემსა ყოველთა მგალობელთა ღმრთისა მიძარტ, ამენ!

ქ. ანდერძი ძირიან მეფისაჲ ძისა თვისისა

მიძარტ რევისა და ცოლისა ნანა

დელუფლისა

„აჰა ესერა მე წარვალ, ვინაჲცა მოვედ. შენ, ნანა, თუ გ[ე]ცეს
მოცალებაჲ ცხორებისაჲ ჩემსა შემდგომად, განყავ სამეფოდ ჩუენი ორად
და მიდღე სამარხოსა ნინოდსსა ჟამთა შეცვალეებსათვის, რაჲთა არა
[შეირყიოს] უკუნისამდე ადგილი იგი“. და ეგრევე ვედრებდა
მთავარებისკაბოზსა, რაჲთა დადვას დიდებაჲ მის ადგილისაჲ, რომელი
ღირს არს პატრივის-ცემასა. ხოლო ძესა თვისსა ასწავებდა: „აჰა ესერა
შეცვალა ბნელი ჩუენი ნათლად და სიქადელი ჩუენი ცხორებად, სადა
ჰპოგნე ქუეყანასა შენსა შინა გნებანი იგი, მათ იგულოვდეს. და ესე შვილთა
შენთა და ამცენ, რამეთუ მე ვიცი იგი, ვითარმედ კავკასიათა შინა არა
დადღევიან. ხოლო შენ ესრე ჰყოფდ და თავი შენი შევპვედრე სუეტსა მას

ზეგარდამო ღიღებულსა ჯუარსა ცათა ჩინებულსა, და იყაფნ შენი მისლვად
მიწად, ძილად საუკუნოდ სარწმუნოებასა ზედა წმიდისა სამეხისასა, ამენ!

აღწერილი იაკობ ძღღელისად, რომელი თანა [ჰყვანდა]

ითანე მთავარებისკობა ზსა: აღმართებისათჳს

პატროსნისა ჯუარისა მცხეთას

და იყო ოდე[ს] მოჰკუეეთეს ხცე იგი ჯუარისათჳს და მოაქუნდა ასსა
კაცსა რტო-ფურცლოთურთ, შემოაქუნდა ქალაქად და მოსტყდებოდა ერი
მწუხანის-ფერობასა მას და ფურცლოანო <ანო> ბასა, ჟამთა
ზაფ <ზაფ> ხულის პირისათა, ოდენ სხუად ყოველი ხეჲ ცმელ იყო, ხოლო
იგი ყოვლადვე ფურცელ-დაუცვენელ და სულ-ჰამო და ხილვა-შუენიერ იყო
ხეჲ ესე. და ძირსა ზედა აღმართეს ხცე იგი კარსა თანა ეკლესიადსასა
სამხრით კერძო და ჰბერვიდა წყალთაგან ნელი ნიაფი და შალვიდა
ფურცელსა მის ხისასა, და ძრვიდა რტოთა მისთა. და იყო ხილვად მისი
შუენიერ და სასურველ, ვითარცა სმენით ვიცით, ხისად მის აღვისად. და
ესე მოეკუეთა თთუესა მარტსა :კე:, დღესა პარასკევსა. და დგა ხეჲ იგი
ეგრე :ლზ: დღესა და არა შედცვალა ფერი ფურცელმან მისმან, ვითარცა
მდგომარემან ძირსა ზედა თჳსსა, თავსა ზედა წყაროდსასა, ვიდრემდის
ყოველნი ხენი მადნარისანი შედმოსნეს ფურცლოთა და ხენი ნაყოფის
გამომცემელნი შედმოსნეს ნაყოფითა და ფურცლოთა. მაშინ თთუესა მადსა
:ა: შეიქმნეს ჯუარნი ესე და შუდსა მისვე თთუესა აემართნეს კელის
დადებითა მეფეთადთა და სიხარულით, წადიერებით ყოვლისა ერისა
ქართლისადთა. და იყუნეს ეკლესიასა შინა და იხილეს ყოველმან
სიმრავლემან ქალაქისამან ყოველთა მათ ღამეთა და აჰა, ჩამოვიდის ჯუარი
ცეცხლისად დაგზრგუნებული ვარსკულავითა და დაადგრის ზედა
ეკლესიათა ვიდრე განთიადმდე, და რიჟურაჟუს ოდენ გამოვიდეს მისგან
ორი მასკულავი და წარვიდის ერთი აღმოსავალით და ერთი დასავალით. და
იგი თავადი ეგრევე ნელად აღდებინ დმიერ კერძო არ[ა]გუსა და დაადგრის
ბორცუსა ზედა კლდისასა, ზემო კერძო ახლოს წყაროსა მას, რომელი
აღმოადინეს ცრემლთა წმიდისა ნინოდსთა და მუნით აღიმაღლის ზეცად.
და ესე მრავალგზის იხილა ყოველმან ერმან მაცხოვარებად ღმრთისა

ჩუენისაჲ.

მაშინ ვიწყეთ კითხვად ნეტარისა *ნინოღსა*, თუ: „რად არს ნაბერწყალო ისი და წარვიდის აღმოსავალთ და დასავალთ?“

ხოლო მან პრქუა: „განავლინენ კაცნი მათათა ზედა მაღალთა აღმოსავალად, ვიდრე *კახეთისა* მთამდე და დასავალად, ვიდრე მიაწევს შენი სამეუფოჲ. და ოდეს გამობრწყინდნენ მთიებნი იგი და ყონ, თუ სადა დგრენ, მუნცა აღჰმართენ ორნი ესე ჯუარნი ქრისტესნი“.

მაშინ მეფემან ყო ეგრე და შეეცვნა თავნი მათათანი მიწყებით. და დღემ ესე იყო *პარასკევი* და *შაბათად* განთენებოდა, და იყო იგივე სასწაულთ და იქმნა ეგრევე, ვითარცა ყოვლადვე იქმნის.

ხვალის დღე მოვიდეს დასავლისანი, რომელნი დგეს თავთა ზედა ქუაბთა-თავისათა და მიუთხრეს მეფეს, ვითარცა გამოვიდა ვარსკულავი იგი, აღიმადლა და მიიწია მათათა ზედა *თხოთისა* გარდასავალსა ერგუს ნიასისასა და დაადგრა ადგილსა ერთსა და ნელად უჩინო იქმნა. ეგრევე მოვიდეს მთით *კახეთისაჲ* და უთხრეს მეფესა: „ვიხილეთ ვარსკულავი აქადთ მომავალი და დაადგრა დაბასა *ბოდს*, *კახეთისა* ქუეყანასა“.

მაშინ ბრძანა ნეტარმან *ნინო*: „წარხუენით ორნი იგი ჯუარნი და აღჰმართეთ ერთი თხოთს, სადა-იგი გამხილა ღმერთმან, და ერთი მიეც სალოძეს, მკვევალსა ქრისტესსა, და აღმართოს უყარმას ქალაქსა. და დაბად ბოდთ არა წინააღმდეგს ქალაქსა მეფეთასა, რამეთუ ერისა სიმრავლჳ არს მუნ. *ბოდისა* კულა დაბად თუთ ვიხილო, სათნოდ [70რ] იგი ადგილო ღმრთისაჲ“. [გ]ყავთ ეგრე, ვითარცა გუბრძანა დედუფალმან *ნინო*.

ხოლო ესე სასწაულთა ზეცისამთა ჩინებულთ პატროსანი ჯუარნი *მცხეთისაჲ* აღვიყაროთ ჳელთა კაცობრივითა და <და> მივედით ბორცუსა მას ქუეშე წყაროსა მას ზედა, და ვათიეთ ღამე, და ვილოცეთ ღმრთისა მიმართ. და ნეტარი *ნინო* ცრემლითა შესზავებდა წყაროსა მას და იქმნებოდეს კურნებანი და სასწაულნი დიდნი.

და ხვალისა დღე აღვედით ზედა კლდესა მას. და მოვიდა ნეტარი იგი ბორცუსა მას და დაფარდა ქვათა ზედა და ტროლდა იგი, და მეფენი და მთავარნი, და ყოვლისა ერისა სიმრავლჳ, მამათად და დედათად და წულოლისა ყრმისა ტრილი და ზირინგად მიიწიოდა ცადმდე, ვიდრემდის




მთანიცა ვმობდეს მათ თანა. და დასდვა ველი ერთსა ქვასა ნეტარმან *ნინო* და მრქუა: „მოვედ, შენდა ჯერ არს, დასწერე ჯუარი ქვასა ამას“. და ვყავე ეგრე. და მუნ აღმართა ჯუარი იგი დიდებული ნეტარმან *ნინო* და მეფეთა. და დადრკა ყოველი სიმრავლც ერთა ურიცხუთაჲ და თაყუანი-სცეს ჯუარსა, და აღიარეს ჯუარ-ცუმული იგი ჭეშმარიტად ძედ ღმრთისად ცხოველისა, და ჰრწმენა სამეხით დიდებული იგი, ამენ!

ხოლო დედანი იგი მთავარნი არასადა განეშორებოდეს ეკლესიასა წმიდისა სუეტისა ცხოველისასა ნათლისასა და ჯუარსა მას პატროსანსა ცხოველსა, რამეთუ ჰხედვიდეს სასწაულთა მათ უზომოთა და კურნებათა მათ მიუთხრობელთა. დაუტევა *ნინო* მცხეთაჲ ქალაქი და წარვიდა მთეულეთა ხარებად პარუტყუ სახეთა მათ კაცთა და შემუსრვად კეჩთა მათთა. ხოლო აქა შინა დაუტევა ჰურიაჲ იგი მღვლეი აბიათარ, რომელი იყო მეორც *პავლ*ც, რომელი არა დასცხრებოდა დღც და დამე ქადაგებასა ქრისტესსა და დიდებასა მისსა, ვიდრემდის სივლტოლად იწყეს ჰურიათა მათ. ხოლო ბაგინისათუც დძულებნ მეფესა, რადთა არა შეძრან ნაშენები მისი, რამეთუ ვიდრე არა გამოჩინებულ იყო ახალი მადლი ქუეყანასა ამას. მუნ შინა იყო დიდებულ სახელი საუკუნოდსაჲ მის და ერჩდა მეფც მისთა დღეთა და იყუნეს მუნ შინა მღვლელად *ელთო ზის* ნათესავნი ჰურიათა ზედა.

სახელითა ღმრთისაჲთა, ესე წიგნი *ქართლის* მოქცევისანი მე, არ^ს შეშა-ყოფილმან *იოვანე*, შევწორენ წმიდასა მთასა *სინას* სალოცველად შენლთა ჩემთათუც - *დემეტრი*, *ადრნერსე* და *ნერსე* - და საცსენებლად სულსა ჩემისათუს. ლოცვა ყავთ, ამენ!

ქრისტე, შეიწყალე *იოვანე*, ამენ!

სახელითა ღმრთისაჲთა, დაესრულა წმიდისა *ნინოდ*სი, ლოცვა ყავთ!



გარეკანზე —

წმინდა ნინო, ოშკის რელიეფი, Xს. ფოტო ნ. და მ. ტიერებისა.

ფერადი ჩანართი:

1. მცხეთის ჯვარი;
2. ანისი, ცხოველმყოფელი სვეტის სასწაული, XIIIს.;
3. წმინდა ნინო, ღეთისმშობლის დაუჯდომელი (კ. კეკელიძის ხელნაწერთა ინსტიტუტი, H-98, 1681 წ.);
4. ცხოველმყოფელი სვეტის სასწაული და წინასწარ-ძეტყველები, სადღესასწაულო (კ. კეკელიძის ხელნაწერთა ინსტიტუტი, A-425, 1718 წ.);
5. ცხოველმყოფელი სვეტის სასწაული, სადღესასწაულო (კ. კეკელიძის ხელნაწერთა ინსტიტუტი, A-425, 1718 წ.);
6. ჯვართამაღლება, შემოქმედის გულანი (კ. კეკელიძის ხელნაწერთა ინსტიტუტი, Q-103 A, XVIIIს.)
7. გერგეთის სამება, წმინდა ნინო — „დედაი ქართლისა“, კანკელის ფრესკა, XIVს.(?);
8. ილარიონ ქართველი, ექვთიმე ქართველი, გიორგი ქართველი, წმინდა ნინო, კრებული (კ. კეკელიძის ხელნაწერთა ინსტიტუტი, A-910, XVIIIს.)



ქართული
ლიბრარი

